ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №8 (1796) 22 აპრილი-5 მაისი 2003

## ომის პირველი მსხვერპლი გაეროა?

მე-3 გვ.



## რის ეშინიათ ამერიკელ არაბებს?

მე-4 გვ.

## სვანეთში ბინ ლადენი დაიჭირეს!

მე-6 გვ.

„უსამას პოლიციელის ღრიალზე არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, მაგრამ მიხვდა, რასაც სთხოვდნენ და ქართული ასოებით ბატიფეხურად ძლივს გამოიყვანა ბენო, რამაც ალტაცებაში მოიყვანა უფროსი."

## დაიჯერეთ!

ნიცილი არ არის

მე-6 გვ.

ნამყოფნალო ნამშაალობა



## რატომ შეცვალა თურქეთი ანტიერაყული კოალიციის გემზე ასე გვიან?

მე-4 გვ.

## ერაყის ომის იურიდიული მხარე

მე-3 გვ.

## საბრძოლო მოქმედებები ერაყში მეორე მსოფლიო ომის გერმანული ჯარების გამოცდილების ფონზე

## საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

მე-2 გვ.

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა



## ქუჩაში ნაყიდ სანთლებზე ზოგჯერ ჯადოა გაკეთებული

მე-7 გვ.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

**გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №1,2,3,4,5,6.**

**ზ. ჟვანია.** მე არ მინდა იმის უარყოფა, რომ საქართველოს დღეს არ ემუქრება რუსეთის მხრიდან ანექსიისა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხელყოფის საფრთხე. მე ძალიან შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ უარვყო ეს. ეს საშიშროება რეალურად არსებობს და ძალიან სერიოზული საშიშროება არის. მაგრამ მე მინდა, შეგახსენოთ თქვენ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაკარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ყოველგვარი დსთ-ში შესვლის გარეშე და სულ ცოტა ხნის წინ იყო მცდელობა და განხილებოდა გეგმები, როგორ დამჯდარიყო ერთ-ერთი რუსი გენერალი საქართველოში ვიცე-პრემიერად და მომხდარიყო გარკვეული სერიოზული ცვლილებები და ჩვენ რეალურად მარიონეტული სახელმწიფო გავმხდარიყავით და არავინ არ ითხოვდა სხვათა შორის „სნგ"-ში შესვლას. საფრთხე არსებობს, მაგრამ უნდა გამოვყოთ ეს ორი საკითხი, ერთი გახლავთ საფრთხე დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მეორე გახლავთ იმ თანამეგობრობაში შესვლა, რომელიც გვაძლევს ჩვენ მრავალმხრივი თანამშრომლობის, მრავალმხრივი რეგიონალური კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობებს. იმიტომ, რომ, ბუნებრივია, საქართველო დაინტერესებული არის არა მხოლოდ რუსეთთან ორმხრივი ინტენსიური ურთიერთობის განვითარებით, არამედ სწორედ მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებით იმ სივრცეში, რომელსაც წარმოადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირი აბსოლუტურად გასაგები და ბუნებრივი ეკონომიკური მოსაზრებების გამო. მე აქვე მინდა, ძალიან ნათლად გავუსვა ხაზი იმას, რომ ასევე ძალიან შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ვეცადო წარმოვაჩინო, თითქოს „სნგ"-ში შესვლა წარმოადგენს პანაცეას და ჩვენ როგორც კი მოვახდენთ რატიფიკაციას, არიქა წამოვა ფქვილის წვიმა საქართველოში, შემოიტანენ ჩვენთან პროდუქტს, აღარ იქნება ელექტროენერგიის პრობლემა და ა.შ. რა თქმა უნდა არა, და ჩემთვის მიუღებელი არის გარკვეული ამგვარი განწყობილებები, რაც, სამწუხაროდ, არსებობს, თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეს ორივე ნაბიჯი, როგორც „სნგ"-ში შესვლა, ისე „სნგ"-ში არშესვლა, ისევე წარმოადგენს აქტიურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ „სნგ"-ში არ შესვლა ეს არ არის ნეიტრალური პოზიცია, ეს არ არის უბრალო თავშეკავება, ეს არის აქტიური პოლიტიკური ნაბიჯი, რომელსაც ექნება სრულიად განსაზღვრული შედეგები და შედეგები ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისათვის და ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობისათვის. მე პირადად ვხედავ დღეს ორ ძირითად, ყველაზე კარგად გამოკვეთილ საფრთხეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის. ერთი გახლავთ ტერიტორიული საკითხი, რომელსაც ყველანი ვხედავთ, რომ აქტუალური არის და ის უკვე პრაქტიკულად დგას დღის წესრიგში. მეორე გახლავთ ეკონომიკური კატასტროფის საკითხი, რომელიც არანაკლებ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხს და ქუჩაში თვალის შეხედვაც საკმარისი არის საიმისოდ, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს ასე არის. მე ვთვლი, რომ ორივე ამ საკითხის გადაწყვეტისას „სნგ"-ში შესვლამ რომც არ ითამაშოს გადამწყვეტი როლი და რომც არ განაპირობოს ცალსახად აფხაზეთის დაბრუნება, დავუშვათ ან რაღაც გრანდიოზული ეკონომიკის შეღავათების მიცემა საქართველოსათვის, არშესვლა სავსებით ცალსახა შედეგებს გამოიღებს როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოს სხვა არანაკლებ ფეთქებად რაიონებში. ანალოგიური შედეგები იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით მკვეთრი გაუარესების თვალსაზრისით და მე მინდა მოვუწოდო სწორედ ჩვენს კოლეგებს, რომ როდესაც ჩვენ ვიფიქრებთ იმაზე, თუ როდის უნდა დავაჭიროთ ღილაკს ხელი და რას მივცეთ ხმა, ვიფიქროთ იმაზეც, თუ რა შედეგებს გამოიწვევს, რა პოლიტიკურ შედეგებს, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის სწორედ არშესვლა „სნგ"-ში და არა მხოლოდ შესვლა.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული გამოცდილება

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

იმისა, რომ საქართველომ გამოთქვა სურვილი „სნგ"-ში შესვლაზე, ამ ჩარჩოებში თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება. მოდით, ამაზეც ნუ დავხუჭავთ თვალებს. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა გააკეთა განცხადება „სნგ"-ზში შესვლის შესახებ, რა ვითარება იყო საქართველოში. დღეს, რატომღაც, ჩვენს პარლამენტში არ არის მიღებული ამ თემის გახსენება და როდესაც ლაპარაკი არის იმაზე, რაში გვჭირდება საგანგებო მდგომარეობა, რა გაკეთდა ამ თვეების განმავლობაში და ა.შ., რატომღაც ჩვენ ძალიან იოლად გვავიწყდება ის, რომ პრაქტიკულად თითქმის გადაწყვეტილი იყო საქართველოს საერთოდ დაქუცმაცება და დაშლა, როგორც ერთიანი სახელმწიფოსი. არა მხოლოდ აფხაზეთის ჩამოჭრა, არამედ საერთოდ დაშლა და გახსოვთ თქვენ, რომ ეს იყო გადაწყვეტილი საკითხი (ხმა დარბაზიდან).

**თავმჯდომარე.** მოიცათ, მოიცათ.

**ზ. ჟვანია.** ეს სიტუაცია ამოტრიალდა და ჩვენ მოვახერხეთ, მოხერხდა ის, რომ ამ უმძიმესი ტერიტორიული დაშლის ვითარებიდან... ბატონო სპიკერო, გთხოვთ მომცეთ იგივე საშუალება გამოსვლის, როგორსაც აძლევთ ოპოზიციის წარმომადგენლებს.

**თავმჯდომარე.** ერთი წუთით, ბატონო ზურაბ, დამიგდეთ ყური. ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობის საკითხია. რომელიმე ოპოზიციის წარმომადგენელს უმრავლესობიდან შეუშალეს ხელი? არ შეუშლიათ. ძალიან გთხოვთ, სირცხვილია ესა. რაც არ გსიამოვნებთ, იმას უნდა მოუსმინოთ, თუ პარლამენტში ხართ. (კამათი დარბაზში). თუ ასეთი უწესრიგობა იქნება, ბუნებრივად მწიფდება ის წინადადება, რომ შევწყვეტთ კამათს და ვუყრით კენჭს. გთხოვთ დავუგდოთ ყური.

**ზ. ჟვანია.** ასე რომ, როდესაც ლაპარაკი არის... დაკარგვაზე და იმ ტრაგედიაზე, რაც მოხდა აფხაზეთში, ალბათ, არ იქნება ურიგო, რომ ყველას პასუხისმგებლობასთან ერთად... და ამ პასუხისმგებლობის უარყოფა უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა და ამორალური იქნებოდა. ჩვენ გავიხსენოთ ისიც, რომ რეალურად ის მექანიზმი, რომლის გამოც მოხდა ასეთი ტრაგიკული სამხედრო წარუმატებლობა აფხაზეთში, უშუალო მექანიზმი ამისა გახლდათ სწორედ ის მოვლენები, რომლებიც განვითარდა იმ პერიოდში სამეგრელოში და ის ძალები, რომლებმაც იქ მოიწყვეს მაშინ პლაცდარმი. ასე რომ, ეს მაგალითი გავიხსენე მხოლოდ იმისათვის, რომ მე მიმაჩნია ეს ერთ-ერთ მაგალითად უკვე არსებული პოზიტიური თანამშრომლობისა „სნგ"-ს ჩარჩოებში. ალბათ, ბუნებრივი არის, რომ მე მოგიწოდებთ თქვენ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ვთქვი, რომ მთელი პერიოდის შემდეგ, რაც ჩვენ გვქონდა, პირადად მე გთხოვთ, რომ დაუჭიროთ მხარი ამ გადაწყვეტილებას. მაგრამ მე მინდა, ვიდრე დავასრულებ საბოლოოდ გამოსვლას, გავამახვილო ყურადღება იმ გარემოებაზეც, რა გარემოებაშიც მიმდინარეობს ჩვენი დღევანდელი დისკუსია. მე მინდა, ძალიან გულწრფელად გითხრათ ყველას, რომ მე ძალიან დიდ პატივსა ვცემ ჩემი კოლეგების პოზიციას, რომლებიც წინააღმდეგნი არიან თანამეგობრობაში შესვლის და მე ვთვლი, რომ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ დღეს ჩვენს პარლამენტში არის ამდენად ძლიერი ის ფრთა, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგი არის თანამეგობრობაში შესვლისა და მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი პოზიცია. მაგრამ ის მეთოდები, რა მეთოდების გამოყენებითაც თქვენ ცდილობთ, რომ წარიმართოს მთლიანად ეს დისკუსია და აიძულოთ პარლამენტი, მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება, არის აბსოლუტურად მიუღებელი. იმიტომ, რომ ეს არის ნამდვილი ძალადობა, ძალადობა თითოეულ დეპუტატზე, რომელსაც მისცა თავისმა ამომრჩეველმა თავისი მანდატი, რომ ამგვარ მნიშვნელოვან შემთხვევებში მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება. (ხმა დარბაზიდან). ეს არის ის, რაც ხდება ამ დარბაზში. მინდა ვთქვა ისიც, რაც ხდება დარბაზის გარეთ, იმიტომ, რომ დაიგზავნა უკვე შიკრიკები



გლდანის რაიონში და სხვა რაიონებში, სადაც არის სერიოზული პრობლემები ელექტროენერგიასთან დაკავშირებით, ცდილობენ მოსახლეობის მოყვანას აქ, პარლამენტის კარებთან. (ყვირილი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** ეი. ზომა არაფერს არა აქვს დღეს.

*(ყვირილი დარბაზში).*

**ზ. ჟვანია.** როგორც ჩანს, ამ პარლამენტში არის გარკვეული თემები, რომელზეც საუბარი არ შეიძლება და რაზეც საუბარი შეიძლება მხოლოდ კულუარებში. ჩემთვის პირადად ეს პრინციპი არის მიუღებელი. ის, რაც მე ვიცი, ვიტყვი აქ, ამ ტრიბუნიდან და ვერავინ ვერ შემაშინებთ და არ არის საჭირო ღრიალი იქედან. (ხმაური დარბაზში).

**თავმჯდომარე.** თქვენ რატომ იღებთ თქვენ თავზე...

*(ხმა დარბაზიდან. მოქალაქეთა კავშირი...)*

**ზ. ჟვანია.** მოქალაქეთა კავშირს რაც შეეხება, ჩემო საყვარელო, თუ საჭირო იქნება, მოქალაქეთა კავშირი იტყვის თავის სიტყვას. ჩვენ არ ვთვლით, რომ დღეს საჭირო არის რაღაც დამატებითი ლონისძიებების მიღება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ თუ მიდგება იქამდე, რომ დაიწყოს ქუჩაში გამოსვლები, სამაგიეროდ, ჩვენც გაგვაჩნია სამაგისო შესაძლებლობები. წინა სხდომაზე მე გთხოვეთ, რომ ნუ გადავიყვანთ საერთოდ ჩვენს ურთიერთობებს ამგვარ კალაპოტში. (კამათი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** კარგით. ასეთი დარღვევები ჩვენს პარლამენტში ჯერ არ ყოფილა. ეს არ არის არც წესი, არც სჯული და არც სხვა რამე. წამდაუწუმ კოლექტიურად მოლაპარაკებული ყვირილების ორგანიზაცია, რა არის ეს, რას გავს? (ხმა დარბაზიდან: უსინდისობაა). უსინდისობაა, ჭეშმარიტად და ვინ არის უსინდისო, ეს კარგად ულის.

**ზ. ჟვანია.** უსინდისობა მე ვფიქრობ არის, ის, როდესაც თქვენ იცით დეპუტატთა უმრავლესობის პოზიცია. არა უმრავლესობის, არამედ დეპუტატთა არითმეტიკული უმრავლესობის პოზიცია არის თანამეგობრობაში შესვლის სასარგებლოდ და უსინდისობა, ჩემი აზრით, არის ის, რომ, აი, ამ დეპუტატების არითმეტიკულ უმრავლესობას არ მიეცეს საშუალება, გამოთქვას თავისი პოზიცია. მე მეჩვენება, რომ უსინდისობა არის მხოლოდ ეს. (ყვირილი დარბაზში). და დღეს რაც ხდება, ეს არის სწორედ უსინდისობა და ამიტომ არ არის საჭირო ყვირილი. (ხმა დარბაზიდან: წინასაარჩევნო პრინციპებიც...) ბატონო ვანო, მე ჩემი წინასაარჩევნო პრინციპებისათვის არ მიღალატნია.

*(ხმაური დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** მე, ბატონო დეპუტატებო, პირდაპირ გეტყვით, რომ...

**ზ. ჟვანია.** მე არ შემიძლია, ასეთ ვითარებაში გავაგრძელო და მე ვთვლი, რომ ჩემი გამოსვლა ჩაიშალა პრაქტიკულად. (ყვირილი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** აძლევთ სიტყვას და მოუსმენთ თუ არა?! შეწყვეტთ თუ არა ყვირილს დარბაზიდან?!

**ზ. ჟვანია.** იყო მთელი რიგი დებულებები, რაზეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკეთესი იქნება რომ დავამთავრო. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

**თავმჯდომარე.** შემოსულია წინადადება, რომ შეწყდეს კამათი (ყვირილი დარბაზში). არის ასეთი წინადადება.

**თ. პაატაშვილი.** არა, ბატონო ვახტანგ, ეს ისეთი საკითხია, რომ ამაზე თუ არ ვიკამათეთ...

**თავმჯდომარე.** მადროვეთ. თუ ასეთ პირობებში იქნება, ამას აზრი არა აქვს. ეს კამათი არ არის. ეს არის ტერორიზება ერთი მხრისა მეორეზე, ეს არ შეიძლება.

*(ხმა დარბაზიდან: შესვენების დრო არის).*

**თავმჯდომარე.** იქნებ, შევისვენოთ 3 საათამდე. 3 საათზე ვიწყებთ მუშაობას.

*შესვენების შემდეგ.*

**სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე.**

**თავმჯდომარე.** ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ უნდა დავამტკიცოთ მთავრობა. დამამტკიცებელი რომ იყო, ავტორიტეტი უნდა გქონდეს, პარლამენტი პარლამენტს უნდა ჰგავდეს, დეპუტატი დეპუტატს უნდა ჰგავდეს. დავემორჩილოთ წესს და რიგს. ყვირილი და უწესრიგობა არ არის პარლამენტის საქმე. მოვუსმინოთ ერთმანეთს. მე, პირადად, ოპოზიციას კი არა, მტერი რომ იყოს, იმასაც მივცემ ტრიბუნას.

*(ხმა დარბაზიდან: რეგისტრაცია ჩავატაროთ).*

**ვ. რჩეულიშვილი:** არ არის საჭირო რეგისტრაცია, კენჭისყრის წინ ჩატარდება, რეგლამენტში ასე წერია.

**თავმჯდომარე.** დებატები გრძელდება და რეგისტრაცია პრობლემა არ არის.

*(ხმა დარბაზიდან: თქვენ ჩაატარეთ, კაცო, დაიცავით რეგლამენტი).*

**ვ. რჩეულიშვილი.** რეგლამენტით, კენჭისყრის წინ ტარდება რეგისტრაცია.

**თ. პაატაშვილი.** კენჭისყრის წინ კი ტარდება, ბატონო ვახტანგ, მაგრამ მე როგორც გამომსვლელს, მსურს კვორუმი უგდებდეს ყურს ჩემს გამოსვლას.

**თავმჯდომარე.** კი, ბატონო. (ხმა დარბაზიდან). ისე, ნუ დავწვრილმანდებით. ახლა რაღაცას... კარგით, მაშინ იცოდეთ, თქვენც წესი დაიცავით და არ გავიგონო ადგილიდან ყვირილი. ეს ფიქსირდება ყველაფერი, ამას ქართველი ხალხი ფილმად ნახავს მთელი წლების მანძილზე. მოემზადეთ რეგისტრაციისათვის, მიმდინარეობს რეგისტრაცია. (ყვირილი დარბაზში). ე. ი. მე „ქარტიის" დეპუტატთა ჯგუფს ვაძლევ საპარლამენტო გაფრთხილებას და შენიშვნას ერთად. არაერთგზის არღვევენ წესრიგს მთელი დღე ყვირილით და ყოველგვარი ნორმების დარღვევით...

**თ. პაატაშვილი.** არა, ბატონო ვახტანგ, ვიღებთ თქვენს შენიშვნას, მე როგორც „ქარტიის" თავმჯდომარე, მაგრამ, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ როცა ერთი დეპუტატი 10 პულტს აჭერს ხელს, რეაქციის არმიცემა ძნელია.

**თავმჯდომარე.** ეს უნდა გაცხადდეს. (ხმა დარბაზიდან). არა, არავის არ ვაძლევს სიტყვას.

**ქ. ლარიბაშვილი.** სხდომაზე გამოდიან სიტყვით ხალხი და... რეგისტრაცია არ გაუკეთოთ?

**ვ. რჩეულიშვილი.** რეგისტრაციას ხალხი არ უსმენს-თქო. (კამათი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** პულტები არ მუშაობს? შევამოწმოთ.

**ვ. რჩეულიშვილი.** თუ არ უნდა პაატაშვილს გამოსვლა, ნუ გამოვა, ბატონო.

**თ. პაატაშვილი.** კი ბატონო, თქვენ მითხარით და დავიწყებ.

**ვ. რჩეულიშვილი.** დაიწყეთ, რასაკვირველია.

**თავმჯდომარე.** მოიცათ, მოიცათ, თქვენ ნუ ჩაერევით. (ყვირილი დარბაზში).

**თ. პაატაშვილი.** ძალიან გთხოვთ, იქნებ, დავიწყოთ სხდომა.

**თავმჯდომარე.** მე მაქვს ერთი თხოვნა, აი, ამ ორ სექტორში არადეპუტატებს ვთხოვ, ნუ დასხდებიან.

**თ. პაატაშვილი.** ბატონო თავმჯდომარევ, პატივცემულო დეპუტატებო, ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ განსაკუთრებულად ემოციურად მიმდინარეობს ჩვენი დღევანდელი სხდომა, რადგან მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა მიმდინარეობს დღეს. მე ბევრ რამეში, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, ბევრ რამეში კატეგორიულად ვერ ვეთანხმები ჩემს წინ გამომსვლელებს, ჩემს კოლეგებს, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ვერ ვეთანხმები ბატონ ზურაბ ჟვანიას იმაში, რომ საქართველოს „სნგ"-ში გაწევრიანება არ ზღუდავს, თურმე, ნუ იტყვით, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს. ამ ლოგიკით თუ გავყვებით, არც სამანეთო ზონაში შესვლა არ ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს და, საერთოდ, რა არის საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი. შეიძლება, საერთოდ ამ იდეებში დავიკარგოთ. აქვე არ მინდა გამომრჩეს ის მომენტი, რომელიც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი იყო იმ გამოსვლაში, რომ გვაძლევს თუ არა გარანტიას, „სნგ"-ში შესვლა იმისას, რომ ვთქვათ ჩვენი, დღეს, ალბათ, ყველასათვის უმწვავესი პრობლემა, აფხაზეთის პრობლემა, რამენაირად ჩვენთვის სასარგებლოდ და სამართლიანად გადაიჭრება. მე ვფიქრობ, რომ ამის გარანტიები არ არის, ამაზე მოგახსენებთ შემდგომ, მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ ამის გარანტიები ადრე კიდევ იყო. ამის შესახებ მე სახელმწიფოს მეთაურს ვკითხე ერთხელ კოლეგიის სხდომაზე და თქვენ ყველამ იცით, რომ იყო ეს 2-ჯერ, ერთხელ, პირველად, სოხუმის ბლოკადის დროს, როდესაც პირველი დესანტი გადმოისხა და მეორედ, როდესაც გრაჩოვი გვთავაზობდა ორი დივიზიის შემოყვანას ფსოუდან. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა. მე იმ კოლეგიაზეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ მაინც წინააღმდეგი ვიქნებოდი ამ გადაწყვეტილებისა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, შეიძლება, რეალურად შეშველებოდა სოხუმს. სამწუხაროდ, როგორც კი ხელისუფლებას საფრთხე დაემუქრა, ეს გადაწყვეტილება, ჩვენთვის ყველაზე რთულ და მიუღებელ პირობებში მივიღეთ. მე მგონი, ეს ფაქტია, და მაშინ ამას სახელმწიფოს მეთაურიც დაეთანხმა დღეს. მართლაც უმნიშვნელოვანესი დღე არის საქართველოს 3000-წლოვან ისტორიაში.

*გაგრძელება იქნება*

# ომის პირველი მსხვერპლი გაეროა?




ჟურნალი THE ECONOMIST-ფიქრობს, რომ ეს მართლაც ასეა. მაგრამ ვითარება მაინც განსხვავდება იმისგან, რასაც ყველა ელოდა: ფიქრობდნენ, რომ გაერო დაუთმობდა ამერიკელებს და ამ გამარჯვებას მსოფლიო აღიქვამდა როგორც ზეწოლის სავალალო შედეგს, ხოლო ომს — როგორც კანონიერს, მაგრამ არალეგიტიმურს (არამართებულს). მოხდა პირიქით: დღეს გაეროს ადანაშაულებენ იმაში, რომ სადამი ვერ აიძულა, დათმობაზე წასულიყო და ამით სხვებსაც მისცა სტიმული, რომ გაეროს ეურჩონ. მოვლენათა ასეთი განვითარებით ამერიკულმა დიპლომატიამაც წააგო: ბუშს ფუჭად შერჩა გაეროს ხვეწნა, თუმცა მრჩეველნი თვითონვე ურჩევნდენ, თავის სამხედრო აქციაში გაეროს თანადგომა არ ეთხოვა.

ამერიკელთა ამ დიპლომატიური ხელმოცარვის მთავარ მიზეზად საფრანგეთი ჩანს, რომელმაც განაცხადა, რომ გაეროს ახალ რეზოლუციას, რომელიც ომის ნებართვას გასცემს, „ყველა შემთხვევაში" ვეტოს დაადებს, მაგრამ, ჟურნალის აზრით, ეს მეტისმეტად მარტივი ახსნაა. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელების, როგორც ერთადერთი ცოცხალი სუპერძალის, „შეკავების" პრობლემა და სურვილი მხოლოდ საფრანგეთს არ აღელვებს, არამედ არაერთ სხვასაც. ბრიტანელებს იგივე მიზანი და სურვილი აქვთ, რაც ფრანგებს, მაგრამ ისინი არჩევენ, იმავე მიზანს მიაღწიონ არა დაპირისპირებით, არამედ გონივრული რჩევით, რომელიც გიგანტს დააშოშმინებს, როგორც მოკავშირის რჩევა მოკავშირეს.

ინგლისელებმა ამ დიპლომატიური ეპიზოდით წააგეს იმ მხრივ, რომ ამერიკელებისთვის ცუდი რჩევის მიმცემნი აღმოჩნდნენ (გაეროს მიმართეთ), ფრანგებმა კი იმ მხრივ, რომ თავისი ვერ გაიტანეს და ამერიკელებს უსანქციოდ ომზე ხელი ვერ აალებინეს. ყველაზე მეტი წააგო, როგორც ვთქვით, გაერომ, რომლის გვერდის ავლა შესაძლებელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ბუშმა ხაზგასმულად დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რომ ომისშემდგომი ერაყის მოგვარებაში გაეროს დიდი როლი ელის.

გაეროს ქარტიას საფუძვლად უდევს ორი პრინციპი: არ იქნას დაშვებული ერთი სახელმწიფოს ძალადობა მეორის მიმართ და შემოღებულ იქნას კოლექტიური მოქმედება იმათ წინააღმდეგ, ვინც საერთაშორისო მშვიდობას არღვევს. ამ ორში პირველი უფრო ძლიერ შეესაბამება საყოველთაო სულისკვეთებას, ვიდრე მეორე: ომის აცილება ყველა ქვეყანას უნდა და ყველას ეზარება ომში ჩაბმა რაგინდარა მიზნით. მიუხედავად ამ ზიზღისა ომისადმი, დღემდე გაეროს არაერთხელ გაუცია დასტური საომარი მოქმედების დაწყებისთვის — უკანასკნელად ეს მოხდა მაშინ, როცა გაერომ თანადგომა გამოუცხადა ნატოს მოქმედებას კოსოვოში. ამიტომ კითხვა დგება: რატომაა, რომ ისინი, ვინც თანახმანი იყვნენ ბელგრადის დაბომბვისა, არ ეთანხმებიან ბაღდადისას? ამ კითხვის მარტივი პასუხია „იმიტომ, რომ ფარისეველნი არიან". მაგრამ ეს პასუხი ჟურნალს მეტისმეტად გამარტივებული ჰგონია. საქმე ის გახლავთ, რომ ბელგრადის დაბომბვაში „ცოტა ვისმე თუ მიაჩნდა, ბელგრადთან კულტურულად და რელიგიურად დაკავშირებული ადამიანების გარდა, რომ ბელგრადს არაკეთილშობილური მიზნებით ბომბავენ. ფიქრობდნენ, ეს ცუდად მოფიქრებული, მაგრამ ჭეშმარიტად ჰუმანიტარული მოტივებით ნაკარნახევი აქციააო". ბაღდადის შემთხვევაში საქმე პირიქითაა: ყველას მიაჩნია, რომ ომს კარგი ჰუმანიტარული შედეგი ექნება (რადგან სადამის მოცილება კარგია), მაგრამ ომის მიზანი და მოტივი მაინცდამაინც ლამაზი არ ჩანს მაყურებლის თვალში.

თუმცა ამ ომში გაეროს ანგარიში არ გაეწია, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ამის შედეგად „უმნიშვნელო გახდა". „პირიქით, იგი გამოიყურება როგორც ასპარეზი, რომელშიც, მრავალ სხვა პროცესთან ერთად, გაიშლება არაერთი მომავალი ბრძოლა და ძალისხმევა იმის გამო, რომ შეაკავონ ან წარმართონ ამერიკის ძალა. გაერო იძულებული იქნება, მოერგოს ახალ ვითარებებს. ზოგჯერ მას ამერიკელებთან დათმობა მოუხდება. მაგრამ ამერიკამ არ შეიძლება მსოფლიო თავისი მოხასიათებისებრ მართოს. გაერო რომ არ არსებობდეს, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონება". დღეს, ისევე როგორც მაშინ, როცა გაერო შეიქმნა, ამ საქმეში დიდი როლი შეერთებულ შტატებს ექნებოდა შესასრულებელი.

# ინგლისელთ აზრი ომზე შეიცვალა. რამდენად?

ინგლისელთა დამოკიდებულება ერაყის ომისადმი საკმაოდ მკვეთრად შეიცვალა ომის სასარგებლოდ (იხ. გრაფიკი ქვემოთ). THE ECONOMIST ასახელებს რამდენსამე არც თუ მძიმეწონიან ფაქტორს, რომელთა ჯამურმა მოქმედებამაც მოგვცა ეს შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ საკითხავია, უდრის თუ არა მათი მასშტაბი იმ გარემოებისას, რომ ომი, საერთოდ, დამოკიდებულებათა პოლარიზაციის გამომწვევია. ერთი მიზეზია სამხედრო კომენტატორის, გენერალ-ლეიტენანტ კოლინზის „ჰეროიკული პროფილი", რომელსაც ეკრანიდან უკვე ვიცნობთ (იხ. აქვე სურათზე). მეორეა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დუმილი (მათ რაც სათქმელი ჰქონდათ, უკვე ნათქვამი აქვთ), ტელევიზია დაძაბულად მუშაობს (რაც ომთა წესია) და მეტ ყურადღებას უთმობს, როგორც უფრო საინტერესოს, ომის ბედის ჩვენებას რუკაზე და ველზე, ვიდრე ბომბებით დაღუპული ბავშვებისას. ესეც სიმპათიათა გადანაცვლების ერთ-ერთი მიზეზია. თუ გავლენიანი „დეილი მეილი" თავდაპირველად ომს ეწინააღმდეგებოდა (ნაწილობრივ იმის გამოც, რომ მკითხველთა უმრავლესობა ქალებია, რომელთაც პაციფიზმი ახასიათებთ), დღეს იგი ომს ემხრობა და ხაზს უსვამს, როგორ ბორკავს მოკავშირეთა მოქმედებას ის გარემოება, რომ იდეალურად ჯენტლმენტური ქცევა ჰმართებთ. სიმპტომიც და მიზეზიც საზოგადოებრივი აზრის შეცვლისა — არის თვით საპროტესტო მოძრაობის ხასიათის შეცვლა. თუ ლონდონში თვენახევრის წინ საპროტესტო დემონსტრაციაზე მილიონი სული გამოვიდა, რაც ინგლისელთა ძირითადი სულისკვეთების გამოხატულება იყო, 22 მარტს ქუჩაში სულ 100 000-400 000 სული გამოვიდა, მათ შორის ბევრი მუსულმანი, ბევრი — ანტიგლობალისტური თემით დაინტერესებული და ბევრი (როგორც ეს პლაკატებიდან ჩანდა) — პალესტინით უფრო, ვიდრე ერაყით. ეს უკვე ინგლისელთა ცენტრალური აზრის გამოხატულება აღარ იყო. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ თუ წლის დასაწყისში ომს მხარს უჭერდა გამოკითხულთა 13%, ახლა უჭერს 56%. თუ მაშინ ნახევარზე მეტი ფიქრობდა, რომ ბუში უფრო საშიშია კაცობრიობისთვის, ვიდრე სადამ ჰუსეინი, ახლა ჰუსეინი მყარად ლიდერობს ამ მიმართულებით. ხნიერი დაუხელოვნებელი მამაკაცები სამხრეთ ინგლისში მასობრივად მხარს უჭერენ ომს, დახელოვნებული ახალგაზრდა ქალები ლონდონში ომის წინააღმდეგია.






**ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მრუდები იანვრის შემდეგ**

ჟურნალი გვახსენებს, რომ ანალოგიური იყო დამოკიდებულებათა დინამიკა ფოლკლენდის კუნძულებზე ომის წინ და ომის დროს. მაგრამ, — გვაფრთხილებს ჟურნალი, — ტონი ბლეირს ეს არ უნდა ახარებდეს მეტისმეტად. რადგან ინტერესს და პოპულარობას იწვევს სროლა და არა კვლა — არც მოწინააღმდეგე მოსახლეობისა, არც საკუთარი ჯარისკაცებისა.

# ერაყის ომის იურიდიული მხარე

თუმცა ერაყის ომის ძირითადი ნაწილი უკვე წარსულს ეკუთვნის, მისი ლეგალობის საკითხი, ანუ ის დილემა, ჰქონდა თუ არა კოალიციას ერაყისათვის სამხედრო დარტყმის მიყენების კანონიერი უფლება, დღესაც დგას. ჟურნალი THE ECONOMIST უძღვნის ამ თემას წერილს ქვესათაურით „არც ერთი მხარის იურისტებს არგუმენტები არ აკლიათ". აი, ეს არგუმენტებიც:

მოკავშირეები თვლიან, რომ დარტყმის უფლებას მათ აძლევდა გაეროს უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუციები, რომლებიც ჯერ ერაყს მოუწოდებდა კუვეიტიდან ჯარების გაყვანისკენ, ხოლო შემდეგ ადგენდა იმის საჭიროებას, რომ გამოყენებულ იქნას „ყველა საჭირო საშუალება" „რეგიონში საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად". ეს უკანასკნელი ფორმულირება (რეზოლუცია 678) ემყარებოდა გაეროს დებულების 42-ე მუხლს, რომელიც ამბობს, რომ უშიშროების საბჭოს უფლება აქვს „მიმართოს საზღვაო თუ სახმელეთო ძალების იმგვარ მოქმედებას, რომელიც საჭიროება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას ან აღდგენას" ამ რეგიონში. გარდა ამ 42-ე მუხლისა დებულებაში არის კიდევ მუხლი 51, რომელიც ნებას ჰრთავს „შეიარაღებული ძალის გამოყენებას თავის დასაცავად", რაც საომარი მოქმედების გახსნის უფლებას ნიშნავს. ცოტა მოგვიანებით, ერაყი რომ დაამარცხეს 1990 წლის ომში, თავის 687-ე რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ განსაზღვრა ცეცხლის შეწყვეტის პირობები, რომლებიც მოიცავდა ერაყის მიერ მასობრივი მოსპობის იარაღების დაუყოვნებლივ გადაცემას გამარჯვებულთათვის ან განადგურებას, აგრეთვე გაეროს ექსპერტების მიერ ერაყის ერაყულ შეიარაღებათა მუდმივი კონტროლის რეჟიმის დაწესებას. ერაყმა ცეცხლის შეწყვეტის ეს პირობები მიიღო, მაგრამ მას აქეთ გასული 12 წლის მანძილზე არ შემწყდარა დავა იმის თაობაზე, ასრულებს თუ არა იგი ამ პირობებს. ბოლოს, გასულ ნოემბერში, გაეროს 1441-ე რეზოლუციამ განსაზღვრა, რომ ერაყი „მატერიულად (ანუ არსებითად, სერიოზულად. რედ.) არღვევდა და არღვევს" ცეცხლის შეწყვეტის ზემოხსენებულ შეთანხმებულ პირობებს. ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ჩათვალეს, რომ დარღვევის ამ ფაქტის დადგენა საკმარისი საფუძველია ძალის გამოყენების იმ ნებართვის აღდგენისათვის, რომელსაც გულისხმობს რეზოლუცია 678 (იხ. ზემოთ), რომელმაც პირველი ომი შექმნა. მათი აზრით, 687-ე რეზოლუციამ (იხ. ზემოთ), რომელმაც ცეცხლის შეწყვეტის პირობები განსაზღვრა, ამით გადაავადა ძალის გამოყენების ზემოხსენებული ნებართვა, მაგრამ არ გაუუქმებია იგი. სწორედ ამ მსჯელობის საფუძველზე იყო, ამერიკელებმა და ბრიტანელებმა რომ თავი უფლებამოსილად ცნეს, ერაყის ობიექტები რომ დაებომბათ 1993 და 1998 წლებში, როცა ვერ მოხდა თანხმობის მიღწევა ინსტექტორთა სამუშაო პირობების შესახებ. №1441 რეზოლუცია (2002), მათი აზრით, მიზნად ისახავს მხოლოდ პოლიტიკურ მოგებას, ანუ სამხედრო აქციის პოლიტიკური გამართლებისათვის მოკავშირეთა პოზიციის გაძლიერებას, მაგრამ არა იურიდიულისათვის: იურიდიულად სამხედრო აქციის გამართლებას წინა რეზოლუციებიც ჰყოფნის.

მოწინააღმდეგე იურისტთა მსჯელობა შემდეგია: იმის განსაზღვრა, დაარღვია თუ არ დაარღვია ერაყმა ცეცხლის შეწყვეტის ადრე დადებული პირობები, არ არის არც აშშ-ის, არც გაეროს რომელიმე სხვა წევრი ქვეყნის კომპეტენციაში. ამის დადგენის უფლება მხოლოდ უშიშროების საბჭოს აქვს. ამ აზრს ადგანან საფრანგეთი, ჩინეთი და რუსეთი (და თითოეულ მათგანს ამ საბჭოში ვეტოს უფლება აქვს), მაგრამ არა მხოლოდ ისინი, საერთაშორისო სამართლის ოქსფორდელი პროფესორი ლოუე (LOWE), მაგალითად, ამბობს, რომ რეზოლუციები №678 და 687 არის მხოლოდ „თავისი დროის წარმონაშობი" და მათგან არ გამომდინარეობს, რომ მაშინდელი „სპარსეთის ყურის ომის" მონაწილე კოალციის ამა თუ იმ წევრს უფლება ეძლევა ამიერიდან ძალით ამყაროს და ადგინოს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში. სხვა იურისტთა არგუმენტი ამბობს, რომ უშიშროების საბჭოს ყველა ზემოხსენებული რეზოლუციები შეიცავენ ფრაზას იმის თაობაზე, რომ საბჭო „ჩართული რჩება ამ საქმის მოგვარების ამოცანაში" ანუ არ იღებს ხელს იმის კონტროლირებაზე, თუ რა მოხდება შემდეგში. გარდა ამისა, ამ იურისტთა თქმით, არც ერთი რეზოლუცია გარდა 678-ისა არ შეიცავს გამოთქმას „ყველა საჭირო საშუალებები", რაც საყოველთაოდ მიღებული „კოდია" სამხედრო ძალის გამოყენების აღსანიშნავად, ამიტომ არსებითია ის, რომ გასული ნოემბრის 1441-ე რეზოლუცია არ შეიცავს ამ გამოთქმას, რაც, ამგვარად, იმას ნიშნავს, რომ იგი არ გულისხმობს სამხედრო მოქმედების ნებართვას, კრიტიკა ეხება ბუშის მრავალგზის განცხადებებსაც იმის თაობაზე, რომ ამერიკელები იმოქმედებენ ერთმხრივად „თავდაცვის მიზნით" გაეროს ნებართვის გარეშეც, თუმცა გაეროს წესდება სამხედრო ძალით თავდაცვას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა" დაზარალებულ სახელმწიფოზე, მაგრამ არა ასეთ თავდასხმაზე. თუმცა ბუშის ადმინისტრაცია თვლის, რომ დღევანდელი ტექნოლოგიის პირობებში ეს დებულება მოძველებულია, ეს იურისტები მაინც ფიქრობენ, რომ უშუალო თავდასხმის გარდაუვალობა მაინც უნდა იყოს უეჭველი, თუ გვინდა, რომ წინმსწრები დარტყმის უფლება გვქონდეს. კითხვა რჩება: ყველას აქვს ასეთი „წინმსწრები დარტყმის" უფლება თუ მხოლოდ აშშ-ს? ჟურნალი კითხვას სვამს: ბუშს მხედველობაში აქვს საერთაშორისო სამართლის მხოლოდ ცალკეული პუნქტების გადასინჯვა თუ მთელი ამ სამართლის მოსროლა?




# რას ფიქრობენ ამერიკელი არაბები?

იმ დროს, როცა ამერიკელი ჯარისკაცები ერაყის უდაბნოში იბრძვიან, შეერთებული შტატების სხვა სამსახურები თვით ამერიკაში მოქმედებენ. გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) აგენტებმა ჩაატარეს 5200 „ნებაყოფლობითი" (ანუ არასავალდებულო) ინტერვიუ ერაყში დაბადებულ ადამიანებთან საერთოდ და დაგეგმილი აქვთ კიდევ 6000-ის ჩატარება ერაყული წარმოშობის ამერიკელებთან (ანუ შეერთებული შტატების მოქალაქეობამიღებულ ერაყელ ემიგრანტებთან). უარი ჯერ არც ერთისგან არ მიუღიათ. ამერიკაში მყოფ ერაყელებს, THE ECONOMIST-ის სიტყვით, „შიზოფრენიული დამოკიდებულება აქვთ" მიმდინარე ომისადმი. ჰუსეინს ცოტანი თუ უჭერენ მხარს, მაგრამ ძალიან ბევრნი, ჰუსეინის მიერ დევნილი და რეპრესირებული შიიტების ჩათვლით, წინააღმდეგნი არიან ამ, მათი აზრით, ზედმეტი ომისა. ისინი წუხან თავის იქ დარჩენილ ოჯახებზე და ხედავენ ორმაგ სტანდარტს ამერიკელების მოპყრობაში ერთის მხრივ ერაყისადმი, მეორეს მხრივ, ისრაელისადმი, რომელმაც არაერთხელ დაარღვია გაეროს რეზოლუციები.


„ამერიკელი ერაყელები ღმერთს ევედრებიან, რომ მათ გაიგონ".

ერაყელი ემიგრანტების ყველაზე დიდი თემი ცხოვრობს დეტროიტის გარეუბანში. აქ ხალხი შეშინებულია და დაცვას ეძებს. ულაჯობისა და დაუცველობის გრძნობა გავრცელებულია არა მხოლოდ ერაყელებში, არამედ ამერიკის სხვა არაბებშიც. 2000 წლის აღწერით მათი რიცხვია 1,3 მილიონი სული, რაც ორჯერ მეტია 1980 წლისაზე, ძველებში ქრისტიანები 70%-ს შეადგენენ, ახლებში — ნაკლებს. არაბებისადმი სიძულვილზე დამყარებული ძალადობის შემთხვევა იყო და გახმაურდა კიდეც — ეს გახლდათ ბომბის აფეთქება პალესტინელის სახლის წინ ჩიკაგოში. მაგრამ ომის დაწყებას ამგვარების განახლება არ გამოუწვევია. ბუშს სასტიკად დაგმობილი აქვს ყოველგვარი თავდასხმა არაბ ამერიკელებზე. მაგრამ აშშ გენერალური პროკურორის ეშკროფტის მიერ 2001 წელს შემოღებულმა წესებმა განაპირობა მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები, გასახლებები და „ინტერვიუები" (ზემოხსენებული არასავალდებულო დაკითხვები). არაბ ამერიკელებს აწუხებთ ხმები ახალი ზომების შემოღების შესახებ, რომლებიც შესაძლებელს გახდის საიდუმლო დაპატიმრებებს, საიდუმლო ჩვენებებსა და სასამართლოებს „და მრავალს სხვა რასმე იმის მსგავსს, რასაც ისინი თავისი სამშობლოდან გამოექცნენ".

ზოგი არაბი ამერიკელი ამართლებს ინტერვიუებს ომის პირობებში, მაგრამ მათ აწუხებთ ის, რომ ახალი წესებით მთავრობას უფლება ეძლევა 6 თვემდე ვადით დააკავოს თავშესაფრის მაძიებლები „ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ცნობილია, რომ უმოქმედიათ და მოქმედებენ ალ-ყაიდა, ალ-ყაიდას მხარდამჭერები და სხვა ტერორისტული ჯგუფები". მთავრობას არ დაუზუსტებია, რომლებია ეს ქვეყნები, მაგრამ „ადამიანის უფლებათა დამცველი იურისტების კომიტეტი" ვარაუდობს, რომ ეს ეხება 33 ქვეყანას, თვით თაილანდისა და ბანგლადეშის ჩათვლით.

მთავრობის სხვა დაწესებულებები არაბ ამერიკელთა გამოყენებას ცდილობენ, რაც სასიხარულოა. სახელმწიფო დეპარტამენტს აჰყავს ერაყელები „მომავალი ერაყის პროექტის" პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. პენტაგონმა ათასობით ერაყელი ემიგრანტი აიყვანა ომისათვის თარჯიმნებად და საპატიმროთა ზედამხედველებად. სახელმწიფო დეპარტამენტიდანაც და პენტაგონიდანაც მაღალ მოხელეთა უწყვეტი ნაკადი მიედინება იქ, სადაც ემიგრანტები ცხოვრობენ. მათ შორისაა პაულ ვოლფოვიციც. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერჯერობით, ემიგრანტთა შორის მოწყენილი განწყობილება სუფევს.

# ქურთები დასავლელთა თვალით. ერი თუ ეთნიკური თემი?

ქურთების თემა ერაყის ომის მომზადების დასაწყისიდანვე არ პშორდება ეკრანებს და პრესას. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ქურთების ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების მომავალი მიმართულების განსაზღვრაში. ქურთებისთვის ძალიან ოპტიმისტურ პროგნოზებს შედარებით სკეპტიკურები ენაცვლება და პირიქით. მოვიყვანთ ერთ-ერთს (ჟ. THE ECONOMIST-იდან) იმის რამდენიმე დამატებით, რომელიც ადრე დაბეჭდილა „საქართველოში".

თურქეთის უარმა, რომ ამერიკელებს თავის ტერიტორიის ზურგად გამოყენების ნება დართოს, გაზარდა ქურთების როლი ამერიკელთა სტრატეგიულ გეგმებში (და, პირიქით, ქურთების პერსპექტივამ განაპირობა თურქების უარი. „საქართველო", რედ.). ქურთების „ფორტებიც" ამ პოლიტიკურ თამაშში იზრდება და ამგვარად, კითხვა დგას, რა ზომას მიაწლევს მათი იმედი, რომ თავის წილს მიიღებენ მომავალი გამარჯვების შემდეგ („საქართველოს" წინა ნომერში გამოქვეყნდა მასალა, სადაც ნავარაუდევია, რომ მათი იმედი ამჯერად არ სცილდება ერაყში ტერიტორიული ქურთული ავტონომიის შექმნას. რედ.) ამ თავმდაბლობის მიზეზია იმ შეურიგებელი წინააღმდეგობის მოლოდინი, რომელიც, შესაძლოა, მოჰყვეს ქურთების ეროვნული თვითგანსაზღვრის ნებისმიერ განზრახვას თურქეთის და ირანის მხრიდან.


ერაყელი ქურთი საგუშაგოზე

ქურთები (რომელთა რაოდენობა ზუსტად აღრიცხული არ არის) 25-27 მილიონ სულს შეადგენენ. ერაყელმა ქურთებმა (4 მლნ სული) ერაყის პირველი ომის შემდეგ ფაქტობრივი ავტონომია მიიღეს (მოჩვენებითი ავტონომია მანამდე რამდენიმე წლით ადრე უკვე მიღებული ჰქონდათ), რამაც ძალიან წინ წასწია მათი კეთილდღეობაც და ეროვნული მისწრაფებებიც. 1988 წელს ქურთების ეროვნული მოძრაობის დათრგუნვის პროცესში სადამ ჰუსეინმა 150 ათასი ქურთი დახოცა, რაც იმას მეტყველებს, რომ ქურთები უსაფრთხოდ ვერ იქნებიან, თუ პოლიტიკურად გაფორმებული რეალური უფლებები არ მიიღეს თავის დასაცავად.

ქურთული ეროვნულობა ჯერ კიდევ შორსაა ჩამოყალიბებული სახის მიღებისაგან. ჟურნალი კონკრეტულად ასახელებს მის სისუსტეებს, თუმცა ქურთების ბრძოლას რეალობად თვლის და მიაჩნია, რომ ეს მრავალტანჯული ხალხი „შესვენებას იმსახურებს".

ჯერ ერთი, ქურთების სიმრავლემ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ მთელ ქურთობაში მომწიფებულია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისკენ სწრაფვა. ეროვნულობა მათ თვალში საკმაოდ ბუნდოვანი იდეა იყო მანამდე, სანამ I მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეებმა ოსმანური იმპერია არ დაშალეს და ქურთებს ცრუ დაპირებები არ მისცეს მათი მომავალი დამოუკიდებლობის თაობაზე. მაგრამ დამარცხებულმა თურქეთმა იმდენი შეძლო, რომ ამ დაპირების განხორციელება ჩაშალა (მკაცრი რეპრესიებით). ამიტომ ჟურნალი ფიქრობს, რომ ამერიკელებს ჰმართებთ კარგი დაფიქრება მაშინ, როცა ქურთებს იმედებს აძლევენ იმავე მიმართულებით. კომპეტენტური სპეციალისტის, მაკ-დოუელის თქმით, საკითხავია, ქურთები დღეს ერი არიან თუ მხოლოდ „ეთნიკური თემი", რომელიც განაწილებულია რამდენსამე სხვადასხვა ქვეყანაში. მათი დიალექტები ისე განსხვავებულია, რომ საეჭვოა, მათ ერთი ენა ეწოდებოდეს (შევნიშნავთ, რომ ეს შენიშვნა უდავო არ არის: ერს ქმნის არა შინაგანი ერთგვაროვნება, არამედ ერთობლივი მიმართება დანარჩენ კაცობრიობასთან. ამისთვის ერთი ძირის ხალხად ყოფნაც კმარა. რედ.). თურქეთის, ირანის, ერაყის და სირიის ქურთები „ხშირად თავ-თავის მეზობლებს უფრო ჰგავანან, ვიდრე ერთმანეთს. მათი ეთნიკური იგივეობის ცნობიერებაც კი მხოლოდ I მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. ძველად სიტყვა „ქურთი" (ქურდი) ქაჩალობის სინონიმი იყო". ერაყშიც კი ქურთების ყოფის სურათი მაინცდამაინც გასახარი არ არისო, მიუხედავად იმისა, რომ კეთილდღეობა მათ დანარჩენ ერაყელებზე მეტი აქვთ, — ძირითადად, ნავთობის კონტრაბანდაში მონაწილეობის გამო, რომელიც ერაყის ნავთობზე ემბარგოს დადების შედეგად გაჩნდა. ერაყელი ქურთული ძალები სულ ბოლო თვეებამდე გაყოფილი იყო ბარზანის და თალიბანის დაჯგუფებებად, რომლებიც ისე ძლიერ მტრობდნენ ერთმანეთს, რომ ზოგჯერ მოკავშირედ თურქებსაც და ირანელებსაც კი იწვევდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ექსპერტის სიტყვით, უდავოა ერთი: ქურთებს მათი სახლობის ოთხსავე ქვეყანაში სასტიკად თრგუნავენ და ისინი იმსახურებენ შესვენებას ამ ბრძოლაში, რაც, შესაძლებელია, დღევანდელი ომის წყალობით ეღირსოთ კიდეც.

მწვავე საკითხებია, რა სახისა იქნება ქურთული ავტონომია მომავალ ერაყში და რა უფლებები ექნებათ მათ ნავთობის საბადოთა მიმართ, რომელთა უდიდესი ნაწილიც კი მათს მხარეშია, ჩრდილო ერაყში, მაგრამ დღესდღეობით მათი სახლობის ზონის გარეთაა (ქ. კირკუკის ზონაში ქურთული მოსახლეობის გასახლება და არაბულის დასახლება სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი „საგმირო საქმეა", რედ.). დღეს ქურთები შეპირებულნი არიან ამერიკელებს, რომ ნავთობს არ წაეტანებიან, ამერიკელებისთვის კი ქურთების შეკავება ამ ქმედებისაგან ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რომლითაც ისინი ინარჩუნებენ კარგ ურთიერთობას თურქეთთან.

# თურქეთი, ერაყელი ქურთები და ირანი

## (ანკარასაც და თეირანსაც აქციაში წილი ჰსურთ)

THE ECONOMIST-ის სიტყვით, თურქეთი თვეთა მანძილზე ამერიკული ზეწოლის ქვეშ იყო და ბოლოს ისიც შეხტა ანტიერაყული კოალიციის გემზე. მაგრამ ეს მოხდა მეტისმეტად გვიან და მეტისმეტად უხალისოდ. ამ ორი ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი მოკავშირეობის მანძილზე მათს ურთიერთობას არ ახსოვს ისეთი დაძაბულობა, როგორიც მათ შორის ჩამოვარდა 1 მარტიდან, როცა თურქეთის პარლამენტმა უარი უთხრა ამერიკელებს მათი რამდენიმეათასიანი შეიარაღებული ძალის გატარებაზე ერაყში მეორე, ჩრდილოეთი ფრონტის გასახსნელად. თურქები მხოლოდ მაშინ შეფიქრიანდნენ, როცა კოლინ პაუელმა აუწყა, შეპირებულ 6 მილიარდდოლარიან დახმარებას ამერიკისგან ველარ მიიღებთო.

პარლამენტის ამ ნაბიჯმა 17 მარტისთვის უკვე უკონტროლო ვარდნაში ჩააგდო თურქეთის ბირჟის მთავარი ინდექსიც და თურქული ლირის კურსიც. პრემიერ-მინისტრმა ერდოგანმა ყველაფერი იღონა, რათა თავისი პარტიის დეპუტაციებისთვის, რომელთაც ხმა მისცეს პარლამენტის ზემოხსენებულ უარს, აზრი შეეცვლევინებინა. 11-საათიანი ვაჭრობის შემდეგ ამერიკელები და თურქები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამერიკულ თვითმფრინავებს გაეხსნებათ თურქეთის საჰაერო სივრცე, ხოლო სახმელეთო გზებით ჩრდილოეთ ერაყში შევა სამხედრო მასალები და ტყვია-წამალი. ამერიკელ სამხ[illegible]რო ტექნიკოსებს მიეცათ თურქ[illegible]ლი პორტებისა და ბაზების კონტროლის უფლება მათი გამოყენების ე[illegible]ექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. რაც შეეხება ამ სიკეთის სამაგიეროს ამერიკელთა მხრიდან, თურქეთმა ბევრი ვერაფერი მიიღო. პაუელმა შეატყობინა პარტნერებს, რომ 6 მილიარდზე ლაპარაკი აღარ არის. ერთადერთი, რითაც პაუელმა მოკავშირეს გული გაუხარა, იყო პირობა, რომ ამერიკელები არ შეეწინააღმდეგებიან სავალუტო ფონდის მიერ სესხის მიცემას თურქეთისათვის იმ ვალების გადახდაში დახმარებისათვის, რომ[illegible]ლთა ანგარიშში თურქე[illegible] წელს 93 მილიარდი დოლარი აქვთ გადასახდელი. თურქეთის სურვილი იყო, ჩრდილოეთ ერაყში ანუ ქურთების დასახლების ზონაში შეეყვანა ტანკები და 20 ათასი ჯარისკაცი, რათა საზღვრის გაყოლებაზე ერაყის მხარეს შეექმნა თავისი კონტროლის 30 კმ-იანი სიგანის ზოლი, რასაც, რა თქმა უნდა, გააფთრებული წინააღმდეგობა შეჰხვდებოდა ქურთებისაგან, რომელთაც 60-ათასიანზე უფრო დიდი გაწვრთნილი შეიარაღებული ძალა ჰყავთ და თურქებისათვის არაფრის დათმობას არ აპირებენ. ეს გეგმა თურქულ-ამერიკული უთანხმოების ძირითადი პუნქტია: ამერიკელები თურქეთს ამ გეგმის განხორციელების თანხმობას არ აძლევენ. როგორც ცნობილია, მხარეები ჯერ მორიგდნენ იმაზე, რომ ა[illegible] ქურთებს არ დართავენ ნავთობის ცენტრებისკენ — ქ. კირკუკისა და ქ. მოსულისაკენ მოძრაობის უფლებას (ეს ქალაქები დღეს ქურთების დასახლების ზონის გარეთაა), ხოლო თურქები არ შევლენ ერაყის ქურთთა რაიონებში. პირობა შესრულდა. მაგრამ ქურთებმა, რომლებიც ამერიკელი მედესანტეების მონაწილეობით უტევენ სადამ ჰუსეინს ჩრდილოეთიდან, კირკუკიც და მოსულიც მაინც დაიკავეს, ხოლო თურქეთმა ამის საპასუხოდ განაცხადეს, რომ ერაყში თავის ჯარს მაინც შეიყვანენ. კონფლიქტი ისევ ამერიკელებმა ჩააქრეს: მათ ქურთები დაითანხმეს ამ ორი ქალაქიდან გამოსვლასა და კონტროლის ამერიკელებისათვის გადაცემაზე, თურქები კი — იმაზე დაითანხმეს, რომ ერაყში შესვლაზე ხელი აიღონ.

რა ინტერესი დგას ამ დიპლომატიის უკან, „საქართველოს" მკითხველმა უკვე იცის. თუ ერაყის ოთხმილიონიანმა ქურთისტანმა დამოუკიდებლობა მიიღო, ისიც — ნავთობის უმდიდრესი საბადოების დაპატრონებით, მაშინ იგი მძლავრი ცენტრი გახდება, რომლის გარშემოც შეიკრიბება (და რომლისგანაც დაფინანსდება) თურქეთის (12 მილიონი), ირანის (6 მილიონი) და სირიის კომპაქტური ქურთული მოსახლეობის დღეს უკვე ძალიან გააქტიურებული ბრძოლა ერთიანი ქურთისტანის შესაქმნელად. უფრო ახლო მომავლისთვის თურქები იმასაც შიშობენ, რომ, თუ ჯარი არ ჩააყენეს, თურქეთში ერაყიდან შემოვლენ თურქეთის ქურთთა წარმომადგენელი მეომრები, რომლებიც დღეს იქ აფარებენ თავს.

თურქებზე არანაკლებად უფრთხიან ერაყელი ქურთების ყოველ წარმატებას ირანელებიც, ასე რომ, ისინიც ძალიან აქტიურად არიან განწყობილნი ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამიტომ ერაყელი ქურთები ფრთხილად არიან და დამამშვიდებელ განცხადებებს აკეთებენ, რომ მაინცდამაინც დიდი პოლიტიკური გეგმები არა აქვთ. ამიტომ გავრცელებულია აზრი, რომ ისინი ამ ეტაპზე ავტონომიას დასჯერდებიან ერაყის შემადგენლობაში.

ბუნებრივია, რომ ქურთების სამივე მტერი — თურქეთი, ირანი და სირია — უნდა ეძებდნენ საერთო ენას ქურთთა მოსალოდნელი წინსვლის ხელშესაშლელად. ეძებენ კიდეც არის ხმები, რომ თურქებმა და სირიელებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას და რომ ირანი — თურქეთის ეს დღესდღეობით დიდი მეტოქე და მოწინააღმდეგე ამ რეგიონში — არ იქნება წინააღმდეგი, თუ თურქებმა მართლაც მოახდინეს ინტერვენცია ერაყში, ოღონდ იმ პირობით, რომ კირკუკსა და მოსულში არ ჩადგნენ.

ამერიკელები, ჟურნალის აზრით, აღარ დაუშვებენ იმას, რომ ირანელებმა ერაყში თავისი თანამორწმუნე შიიტების სამხედრო ორგანიზება ცადონ, როგორც წინა ომის დროს ცადეს. მაგრამ გარკვეულ შეთანხმებებში ირანელებთან ერთად მაინც შედიან. მათ აღუთქვეს ირანელებს, რომ როგორმე დაამუხრუჭებენ ირანის შეიარაღებული ოპოზიციის აქტივობას, რომელსაც ბაზა ერაყში აქვს. მეორეს მხრივ, ერაყში მოქმედებს ირანიდან მართული ათიათასკაციანი „ბადრის ბრიგადა" (იგი ითვლება ირანში მდებარე „ისლამური რევოლუციის უმაღლესი შტაბის" რაზმად), რომელიც ქურთებთან მეგობრობს (და ბაზებიც ქურთთა მიწა-წყალზე აქვს) და, მაშასადამე, ამერიკელებთანაც სამოკავშირეო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ეს ბრიგადა იმედოვნებს, რომ წონადი ხმა ექნება ერაყის მომავალ პოლიტიკურ დარეგულირებაში.




# ესპანეთის „სეპარატისტული" პრობლემები

ესპანეთი შორსაა ერაყისგან, მაგრამ ესპანეთის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსთვის ზოგი ისეთი საკითხის შესაძლო საკითხს შეიცავს, რომლის ბედი დღეს ერაყში წყდება. სახელდობრ, დღეს უნდა გაირკვეს, როგორი იქნება დღეს მსოფლიოში არსებული ერთადერთი სუპერძალის — შეერთებული შტატების დამოკიდებულება მყარი ეროვნული სახელმწიფოებრიობისადმი, ერთის მხრივ, და მასში არსებული მეტ-ნაკლებად სეპარატისტული მოძრაობებისადმი, მეორეს მხრივ, მოკავშირისადმი ერთის მხრივ და ნეიტრალური, „მესამე" სახელმწიფოსადმი მეორეს მხრივ. გაირკვევა, გზადაგზა, ისიც, თუ როგორი იქნება მსოფლიოს დანარჩენი ზეგანვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება ამერიკელთა ამ დამოკიდებულებისადმი.

გთავაზობთ რამდენსამე მოკლე ცნობას და თვალსაზრისს ბრიტანული THE ECONOMIST-იდან.

„რამდენად შეგიძლიათ გაჭიმოთ ესპანეთის კონსტიტუცია, სანამ იგი გაიფხრიწებოდეს?" — სვამს კითხვას ჟურნალი. 1970-იან წლებში შექმნილი კონსტიტუცია, რომელიც „წარმოადგენდა რეაქციას ორმოცწლიან ცენტრალისტურ დიქტატურაზე. უკვე ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს ქვეყნის 17-სავე რეგიონს. მაგრამ ახლა ესენი უფლებამოსილებათა მომატებას ითხოვენ. რამდენისას? „შეშფოთებული ცენტრალისტები და პირდაპირი პატრიოტები" (იგულისხმება: ესპანეთის პატრიოტები) ფიქრობენ, რომ ეს მოთხოვნები ძალიან გადამეტებულია. ამ ცოტა ხნის წინ ესპანეთის მოსახლეობით მეორე რეგიონმა — კატალონიამ — გამოთქვა, როგორ წარმოუდგენია ეს სასურველი ნამატი.

ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემებს უქმნის სეპარატისტული ტერორიზმი ბასკების რეგიონში (მასზე „საქართველო" ხშირად წერს. რედ.) და იქაური მთავრობის არაძალადობითი კამპანია ესპანეთისაგან გამოყოფის და მასთან „ასოციაციის" ფორმითლა დარჩენის მოთხოვნით. გალიციაშიც (ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში) ძლიერდებიან ადგილობრივი „ნაციონალისტები" ანუ რეგიონალისტები, რასაც ხელს უწყობს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ხელმოცარვა ამა თუ იმ ერთჯერადი კრიტიკული პრობლემის მოგვარებაში.

კატალონია თავისი 6,3 მილიონიანი მოსახლეობით (დედაქალაქი — ბარსელონა) ესპანეთის ინდუსტრიული გულია. ათწლეულთა მანძილზე მას მართავდა ხორდი პუხოლი, როგორც ნაციონალისტური, მაგრამ არასეპარატისტული პარტიების ბელადი, რომელთა გაერთიანებასაც ჰქვია „ერთგზაობა და კავშირი". მან წინ წასწია კატალონიური ენის მდგომარეობა და მადრიდს ეომებოდა ხოლმე სხვადასხვა საკითხებზე. მაგრამ იგი, ფაქტობრივად, არ უქმნიდა მადრიდს პრობლემებს, რადგან მას ესაჭიროებოდა მმართველი პარტიის — „სახალხო პარტიის" თანადგომა საკუთარ ადგილობრივ პარლამენტზე კონტროლის შესანარჩუნებლად. ახლა მას გადადგომის დრო დაუდგა, ხოლო მის მიერ დასახელებული მემკვიდრე ართურ მასი, რომელსაც მოახლოებულ არჩევნებში წარმატების ნაკლები შანსი აქვს, იძულებულია, მდგომარეობის „გახურებაზე" იფიქროს. კონსტიტუციის შესწორების პროექტი, რომელიც ერთი წლის წინ შემუშავდა კატალონიელთა მიერ, მაგრამ ახლახა გახდა ცნობილი, „ცნობს" ესპანეთის სახელმწიფოს, როგორც ფაქტს, მაგრამ აღიარებს კატალონიისათვის „თვითგანსაზღვრის" (ე. ნ. „თვითგამორკვევის") უფლებას. იგი აღიარებს კატალონიური დროშის „უპირატესობას" და ავალებს ყველა კატალონიელს, იცოდეს კატალონიური ენა. მოითხოვს კატალონიის პირდაპირ წარმომადგენლობას ევროკავშირის ერთობლივ წარმომადგენლობით დაწესებულებებში, იუნესკოს ტიპის ორგანიზაციებში და საერთაშორისო სპორტში, ერთპიროვნულ კონტროლს იმიგრაციაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და ტელეკომუნიკაციების რეგულირებაზე, აგრეთვე გადასახადების აკრებაზე, თვით ცენტრალურთა ჩათვლით, და ბევრ სხვა რამეზე. ეს მოთხოვნები, ჟურნალის სიტყვით, „სეპარატიზმი არაა, მაგრამ ისინი, როგორც მინიმუმი, გაათანაბრებენ კატალონიას ბასკების რეგიონთან და ყურადღებას მიაპყრობინებენ იმაზე თუ რას მოისურვებენ ზოგი ბასკები ხვალ".

დღეს შესაძლებელია, რომ ზემოხსენებულმა კატალონიურმა „კავშირმა" ძალაუფლება დაკარგოს და კატალონიის ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალისტები, რომელთაც ზემოჩამოთვლილზე ბევრად ნაკლები მოთხოვნები აქვთ, მაგრამ შესაძლებელია მათ კავშირი დაამყარონ ჯერ მცირე, მაგრამ მზარდ „კატალონიურ პარტიასთან", რომელსაც ჩამოთვლილზე ბევრად უფრო დიდი მოთხოვნების წამოყენება სურს, მათ შორის — კატალონიის გადაქცევას ესპანეთთან ასოცირებულ თავისუფალ სახელმწიფოდ.

კატალონიელები, ჟურნალის სიტყვით, „ბუნებით სეპარატისტები არ არიან", მაგრამ ისინი არიან „ქარის აფრიალებულ ნამჯასავით", რაკი ახსოვთ ის დრო, როცა ცალკე იყვნენ. ამიტომაცაა, რომ „კავშირის" ბოლო შეხვედრის მოწყობა გადაწყდა ქ. კარდანაში — კატალონიის უკანასკნელ ქალაქში, რომელიც ესპანეთის მეფემ ფილიპე IV-მ აიღო 1714 წელს.

# საბრძოლო მოქმედებები ერაყში მეორე მსოფლიო ომის გერმანული ჯარების გამოცდილების ფონზე

უკანასკნელ პერიოდში ინგლის-ამერიკული საბრძოლო ავიაციის მხრიდან ერაყში ობიექტების დაბომბვის ფონზე განვითარებული საბრძოლო მოქმედებების ყურებისას გაგვახსენდა ერთი წიგნი, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გერმანელი ოფიცერი ომის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეეცადა, გადმოეცა მომავალში სამხედრო ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების განვითარების შესაძლო სურათი. წიგნის ავტორი, ბუნდესვერის სახმელეთო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი აიკე მიდელდორფი მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ წლებში მსახურობდა გერმანული ვერმახტის მთავარი შტაბის ოფიცრად აღმოსავლეთის ფრონტზე და ასევე სახმელეთო ჯარების მთავარი შტაბის რეფერენტად ტაქტიკური გამოცდილების განზოგადების საკითხებში. მის ძირითად ფუნქციას შეადგენდა გერმანული და საბჭოთა ჯარების საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკისა და ოპერატიული ხელოვნების შესწავლა, ანალიზი და განზოგადება.

1956 წელს გფრ-ში გამოცემული აიკე მიდელდორფის 350-გვერდიანი წიგნი „ტაქტიკა რუსეთის კამპანიაში" (EIKE MIDDELDORF, TAKTIK IM RUSSLANDELDZUT) 1958 წელში თარგმნეს რუსულად, იგი დაცულია თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკების ფონდებში და დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. მის წინასიტყვაობაში როგორც გერმანელი, ისე რუსი სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნაშრომი წარმოადგენს სახმელეთო ჯარების გვარეობათა (ქვეითი და სატანკო ჯარები, არტილერია, დაზვერვა და ა. შ.) საბრძოლო წესდებების დამატებით სახელმძღვანელოს, ხოლო თავისი სტრუქტურით მოგვაგონებს თავად საბრძოლო წესდებას, შევსებულს სათანადო დამატებებითა და განმარტებებით.

ჩვენ საგაზეთო წერილში, ცხადია, ვერ შევუდგებით ამ უაღრესად კვალიფიციური და სერიოზული ავტორის მიერ გადმოცემული ყველა თემის მიმოხილვას, არამედ მხოლოდ რამდენიმე მომენტს გვინდა გავუსვათ ხაზი ქვეითი ჯარის საბრძოლო გამოყენების პრაქტიკიდან. დასაწყისშივე აიკე მიდელდორფი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომში ჯავშანსატანკო ჯარების ფართო გამოყენების მიუხედავად ორი უმსხვილესი სახმელეთო სახელმწიფოს — რუსეთისა და გერმანიის საველე არმიები თვით 1945 წელშიც კი 80%-ით შედგებოდა ქვეითი (მსროლელი) დივიზიებისგან, თანაც როგორც ომის დასაწყისში, ისე მის მიწურულს გერმანიას გააჩნდა ყველაზე უფრო ბროლისუნარიანი ქვეითი ჯარი. მართალია, საბრძოლო მომზადებისა და შეიარაღების რიგ საკითხებში ომის დასაწყისში რუსული ქვეითი ჯარი აღემატებოდა გერმანულს (ღამით, ტყიან და ჭაობიან ადგილებში ბრძოლა, ზამთარში ბრძოლა, სნაიპერების მომზადება, პოზიციების საინჟინრო აღჭურვა, ქვეით ბატალიონში ავტომატებისა და ნაღმსატყორცნების დიდი რაოდენობა), მაგრამ სამაგიეროდ გერმანელები ჯობნიდნენ რუსებს შეტევის ორგანიზებასა და ჯართა გვარეობებს შორის ურთიერთმოქმედებაში, უმცროს მეთაურთა მომზადებასა და ქვეითი ჯარის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებაში. ომის მსვლელობისას მოწინააღმდეგენი სწავლობდნენ ერთმანეთისგან და შეძლეს გარკვეულწილად აღმოეფხვრათ არსებული ნაკლოვანებები.

რაც შეეხება ინგლის-ამერიკულ ჯარებს, ევროპაში მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების წარმოება მათ დაიწყეს ომის დასკვნით პერიოდში, როდესაც გერმანული ჯარები ძლიერად იყვნენ შეფერთხილი ან კიდევ ბრძოლების მიღება უხდებოდათ ძალზედ გაჭიმულ ფრონტზე მოწინააღმდეგის დიდი მატერიალური უპირატესობის პირობებში. მაგალითად, 1944 წელს, ნორმანდიაში დასავლელ მოკავშირეთა ჯარების მთავარი დარტყმის მიმართულებაზე სენ-ლოს ჩრდილოეთით თავდაცვაში მყოფი ერთი გერმანული პოლკი იძულებული იყო თავისი ძალები გაეჭიმა 24 კმ ფრონტზე, რაც უკიდურესად ასუსტებდა მის საბრძოლო რიგებს. ამიტომ აიკე მიდელდორფს მიაჩნია, რომ მომავალში ქვეითი ჯარის ტაქტიკის განსაზღვრისთვის ინგლის-ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობამ შესაძლოა სამხედრო მშენებლობის პროცესი წაიყვანოს არასწორი მიმართულებით.



შეტევაში ინგლის-ამერიკული ჯარების მოქმედებებისთვის დამახასიათებელი იყო შეტევის წინ ავიაციის, არტილერიის, ტანკების, ნაღმსატყორცნებისა და სხვა საშუალებების ინტენსიური თავმოყრილი ცეცხლით მოწინააღმდეგის ჩახშობა საკმაოდ ფართო ზოლში და თავდაცვის მთელ სიღრმეში.

ქვეითი ჯარი ცეცხლის ტალღების კვალდაკვალ ფეხოსნების მცირე ნახტომებით მიიწევდა წინ მიჯნიდან მიჯნამდე და ადგილის დაპყრობილ უბნებს წმენდდა მოწინააღმდეგის თავდამცავი ქვედანაყოფების ნარჩენებისგან, ან სულაც ბრძოლის გარეშე აღწევდა შეტევის მიზნებს. ასეთ ტაქტიკას ეწოდება „პოლიციური მოქმედებები" და, უეჭველია, შეტევის იდეალურ მეთოდს წარმოადგენს. მაგრამ აიკე მიდელდორფი თვლის, რომ ძლიერი, თავგანწირული და თავდაცვისთვის კარგად მომზადებული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, თანაც საბრძოლო ავიაციისა და საველე არტილერიის მეტ-ნაკლები თანაბრობის პირობებში, პრაქტიკულად მიუღებელია.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერაყის წინააღმდეგ ომში ინგლის-ამერიკული ჯარები კვლავინდებურად იყენებენ „პოლიციური მოქმედებების" ტაქტიკას, რის საშუალებასაც აძლევს მათ გადამწყვეტი უპირატესობა საბრძოლო ავიაციასა და შორსმსროლელ საცეცხლე საშუალებებში, მაგრამ ეს ტაქტიკა აბსოლუტურად გამოუსადეგარი იქნებოდა, ომის საწყის ეტაპზე მაინც, თუკი საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდებოდა ევროპის კონტინენტზე, თუნდაც იგივე ფრანგულ-გერმანულ კოალიციასთან ან რუსეთთან.

ამიტომ აიკე მიდელდორფი თავის წიგნში ქვეითი ჯარის შეტევაში უპირატესობას ანიჭებს მოქმედებების ორ სხვა ხერხს — „გაჟონვას" და გარღვევას.

„გაჟონვას" მიმართავენ, როდესაც შეტევის ორგანიზებისთვის არ გააჩნიათ შესაბამისი არტილერია და მხარდაჭერის სხვა საშუალებები, აუცილებელია მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა ან შემდგომი გარღვევისთვის საჭირო საწყისი პოზიციების შექმნა. „გაჟონვის" არსი იმაში მდგომარეობს, რომ საერთო შეტევის დაწყებამდე რამდენიმე საათით ან დღე-ღამით ადრე შემტევის მცირე ჯგუფები, ერთეული მებრძოლები ან მსროლელთა წყვილები, აღწევენ მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში, იქ გარკვეულ პოზიციებზე ფარულად იყრიან თავს და მაგრდებიან. ასეთ რაიონებში შესაძლოა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში მისგან დაფარულად ბატალიონამდე ქვედანაყოფების ან უფრო მსხვილი ნაწილების შეყვანა და დაგროვება. შემდეგ ფრონტიდან შეტევის დაწყების კვალდაკვალ „გაჟონილი" ქვედანაყოფები (ნაწილები) თავადაც უტევენ თავდამცავი მოწინააღმდეგის საცეცხლე პოზიციებს, სამეთაურო პუნქტებს ან თავდაცვის მთელ უბნებსაც კი.

მოწინააღმდეგის თავდაცვის პოზიციებში შემტევთა „გაჟონვას" ხელს უწყობს თავდაცვითი რიგების წყვეტილობა, ღამე, ნისლი, ძნელადსავალი ადგილები, თოვლი და ა. შ. ამასთანავე, მსგავსი მოქმედებების განხორციელება მოითხოვს შემტევთა დიდ შეუპოვრობას, მნიშვნელოვან დროსა და ჯარების კარგ გაწვრთნილობას. შეტევის ასეთი ხერხი კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ ვინაიდან მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში შეუძლებელია მისგან დაფარულად მნიშვნელოვანი „გაჟონილი" ძალების დაგროვება, ამიტომ მათ გააჩნიათ მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა და მსხვილი ოპერაციების მასშტაბში „გაჟონვას" შესაძლოა განვიხილავდეთ მხოლოდ როგორც შეტევითი მოქმედებების წარმოების დამხმარე ხერხს.

მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის გარღვევას მეორე მსოფლიო ომში გერმანული ქვეითი ჯარი ხშირად ახორციელებდა შემდეგნაირად. ფეხოსნები შეტევისთვის საწყის მდგომარეობას იკავებდნენ წინა თავდაცვითი ბრძოლების მსვლელობისას გათხრილ სანგრებში, ან უშუალოდ მათ უკან, როგორც წესი, მოწინააღმდეგის წინა ხაზიდან რამდენიმე ასეულ მეტრამდე დაშორებაზე.

შეტევის წინ არტილერია ფარულად ახორციელებდა გამიზნვას რამდენიმე დღის განმავლობაში. უშუალოდ შეტევის დაწყების წინ, ჩვეულებრივ რურაგზე ატარებდნენ 15-30 წუთიან მოკლე სარტილერიო მომზადებას ხელთ არსებული მთელი არტილერიის მოკლე საცეცხლე თავდასხმის სახით. ცეცხლს უშენდნენ ძირითადად მოწინააღმდეგის პირველ სანგრებს, შემდეგ ქვეითი ჯარი გადადიოდა შეტევაში. მას უსვამდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის ამოცანას მთელ სიღრმეში.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ორი მომენტი. ჯერ ერთი, საარტილერიო მომზადება მოკლე საცეცხლე თავდასხმის სახით თავდამცავი ჯარების ამჟამინდელი შეიარაღებისა და ცეცხლის ეფექტურობის პირობებში, შესაძლოა, არასაკმარისი აღმოჩნდეს. შესაბამისად, საარტილერიო მომზადებაზე მოთხოვნილება საბრძოლო მასალებში გაიზარდოს ორჯერ და მეტად. მისი მთავარი ამოცანა იქნება ქვეითი ჯარის შემდგომი ახლო ბრძოლისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მაგრამ საარტილერიო მომზადებისგან არ შეიძლება ველოდეთ მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას, რაც უზრუნველყოფდა „პოლიციური მოქმედებების" წარმოების შესაძლებლობას.

მეორეც, თანამედროვე ბრძოლის პირობებში მხოლოდ ძალზედ იშვიათ შემთხვევებში თუ მოხერხდება თავდამცავი ჯარების საცეცხლე საშუალებების განადგურება ან ჩახშობა იმდენად, რომ შემტევ ქვეით ჯარს მოწინააღმდეგის დამხვრადი ცეცხლის ქვეშ მასთან შეტევის დისტანციამდე 100-200 მ-მდე მიახლოების შესაძლებლობა მიეცეს. აქედან გამომდინარე, ქვეითი ჯარისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს შეტევა ღამით ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში. დღისით შეტევას კი აუცილებელია უზრუნველყოფდნენ კვამლის ფარდების დაყენებით, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლო-

გაგრძელება მე-7 გვ.

საქართველო

# სვანეთში ბინ ლადენი დაიჭირეს!

ამერიკელების საქციელი მაკვირვებს, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ უსაბა ბინ ლადენი უმაღლესი კლასის ტერორისტად აღეზარდათ, მაგრამ, როცა ამერიკაში კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსასტიკესი ტერორისტული აქტი მოახდინა, მერე აღარ მოეწონათ და ძებნა დაუწყეს. სად აღარ ეძებენ: ხმელეთზე, ზღვაში, მინდორში, ქალაში, ათასგვარ გამოქვაბულში, ვაგზლის ტუალეტში, ბაზრობებზე (მათ შორის ელიავას, დეზერტირის და ლილოს), სუპერმარკეტებში, ბარ-კაფე-რესტორნებში და ვინ უწყის კიდევ სად, ის კი თავისუფლად დასეირნობდა სვანეთის ერთ-ერთი მიყრუებული სოფლის შემოგარენში. ის-ის იყო მიმალვას აპირებდა, რომ ორმა მხარბეჭიანმა ვაჟკაცმა ბექნუ ხვისტანმა და ფილიმონ კვანჭიანმა თვალის დახამხამებაში გაკოჭეს. გაჩხრიკეს, მხარზე გაიდეს და ათი კილომეტრი ატარეს იანვრის საშინელ ყიამათში. ვერც წინასწარი ჩხრეკვისას და ვერც შინ მიყვანილის გულდასმით შემოწმებისას, საეჭვო ვერაფერი აღმოუჩინეს. ტომარაში, რომელიც დაჭერის მომენტში ზურგზე ჰქონდა წამოკიდებული, ძველი ლანჩაამძვრალი ფეხსაცმელი, სვანური ქუდი, ყაბალახი, ალუმინის ჯამი, კოვზი, 1 შავი პური და 2 თავი ხახვი აღმოჩნდა. დასაკეცი მონადირული დანა, რომელიც თავისივე ხელით ნაკერილ შელითაში ედო, შარვლის უბეში, ჭუჭყიან ნიფხავსა და გახუნებულ, მუხლისთავებგამობრდღვნილ შარვალს შორის, თასმით ჰქონდა ჩამოკიდებული. სამხედრო ბუშლატი ორ ადგილზე გახეული და თეთრი ძაფით ამოჩხლართული ჰქონდა. თავზე შალის წითელი ქუდი ეხურა, რომელზეც დაგრეხილი ზეწარი ჰქონდა შემოხვეული.

— ფილიმონ, ხომ ნაღდად ის არის?! — ტყუილად არ მოგვიწიოს ამ ნაძირალას თრევა.

— ეჭვიც არ მეპარება. თვალწარბი, ტუჩები, წვერ-ულვაში, ცხვირი, ყველაფერი უსამასი აქვს. ამერიკაში მომხდარი ტერორის შემდეგ ამის სახის ცქერის მეტს არაფერს არ ვაკეთებ ტელევიზორში, თუ პრესაში. ისე, კარგად კია შენიღბული ეს ძაღლისშვილი.

— აბა, მაშ მიგვილია პრემიად დაწესებული 25 მილიონი და ეგ არის!

შინ მიყვანილი ბინ ლადენი, პირდაპირ ბოსელში შეიყვანეს, ხელფეხი გაუხსნეს, კუთხეში მიგდებულ გოდორზე ჩამოსვეს, ჭრაქს მოუკიდეს და ცეცხლი დაანთეს.

უსამამ ხელ-ფეხი რომ გაითბო, გვერდები და ზურგი მიაფიცა ცეცხლს. მერე პირისახით ისევ ცეცხლისკენ შებრუნდა, ლილი შეიხსნა და გემრიელ ფხანას მოჰყვა. ხან მარჯვენა ხელით იფხანდა, ხან მარცხენათი. უბიდან ხელის ამოღებისას მუჭას ხსნიდა და ცეცხლზე რაღაცას ყრიდა. ისეთი ტკაცატკუცის ხმა ისმოდა, ბექნუ და ფილიმონი მანამდე ვერ მიხვდნენ რა ხდებოდა, სანამ ლადენმა ერთიორი ტილი ჭუჭყით გამოტენილ ფრჩხილებს შორის არ მოიქცია და კლასიკური მეთოდით — ტკაცუნით არ მოკლა. მერე ბექნუს შეხედა და გაიღიმა.

— ფილიმონ, მოდი ერთი ვკითხოთ, სვანური ან ქართული ხომ არ იცის ამ შობელძაღლმა. წელან რომ ვსაუბრობდით, ისე ყურადღებით გვისმენდა, ეჭვი შემეპარა, მე მგონი უნდა ესმოდეს. ფილიმონი უსამასკენ შებრუნდა და სვანურად ჰკითხა:

— უსამა, სი ლუსნუ ჯიხამა?! — ე. ი. უსამა, სვანური ენა თუ იცით.

უსამამ უკბილო პირი დააღო, ქვედა ყბაზე შერჩენილი ორი უსაშველოდ გრძელი, შავ-ყვითელი კბილი გამოაჩინა და გადაიხარხარა.

ხომ გითხარი, ესმის-მეთქი სვანური ამ ძაღლისშვილს! მაგრამ ამას სიტყვას ვერ დავაცდენინებთ, ისეთი კერკეტი მამაძაღლი ჩანს. ჩავიყვანოთ მესტიაში და ჩვენი პოლიციის ამბავი რომ ვიცი, ისე აწამებენ, თემურ-ლენგობაზე მოაწერს ხელს.

ფილიმონის და ბექნუს საუბრის მომენტში, ცეცხლს მიფიცხებული უსამა თავის საქმიანობას აგრძელებდა, ილლიებსა და წვერ-ულვაშს ტილებისაგან ისუფთავებდა.

— ბექნუ, ეს ლორისშვილი თუ არ ვაბანავეთ, ჩვენც გადაგვდებს ტილებს, ვერ ხედავ, მუჭა-მუჭა ყრის ცეცხლში? — მწვადის სუნი დააყენა ამ მამაძაღლმა.

ბექნუმ ცეცხლზე ზედადგარი დადგა, ზედ არყის სახდელი ქვაბი შემოდგა და პირთამდე გაავსო.

— ახლა წავალ, ამას საჭმელს მოვუტან, თორემ გაეროში გვიჩივლებს, დამაპატიმრეს და შიმშილით მკლავდნენო — ამის უფლება არ გვაქვს ჩვენ.

გავიდა ბექნუ მაჩუბეში და 10 წუთის შემდეგ, ტაბლაზე დაწყობილი უშველებელი ლორის ნაჭერი, ქუბდარი, ჭვიშტარი, სულგუნი და ლიტრიანი ბოთლით რახი შეიტანა ბოსელში.

— ბექნუ, თუ არ გეზარება, გაიტანე ეს რახის ბოთლი და რომელიმე მურაბის სიროფი ჩაუმატე, ასეა თუ ისეა, სანამ ჩვენთან არის, სტუმარია და ვაჩვენოთ სვანური სტუმართმოყვარეობა, რა იცი, მერე რა მოხდება?!

ბექნუმ რახი უკან გაიტანა, შიგ ვარდის მურაბა შეურია, ბოსელში შევიდა და ისევ ტაბლაზე დადგა. უსამას თვალები გაუბრწყინდა.

— მიირთვი უსამა, მიირთვი! — ყველაფერი ჩვენი ოჯახის ნაწარმია, არ მოგერიდოს. სიტყვიერადაც უთხრა ბექნუმ და ჟესტიკულაციითაც მიანიშნა. უსამა გამგელებული ეცა საჭმელს. დაღეჭვა არც უცდია უკბილობის გამო. ერთი-ორჯერ მოიქნევდა ყბას და გაუშვებდა საყლაპავში. როცა უსამამ ლორის მოსაჭრელად დანას წამოავლო ხელი, ფილიმონმა ყოველი შემთხვევისთვის ნაგანის ლულა მიადო საფეთქელზე. ლადენმა რეაქციის გარეშე, თვალის დაუხამხამებლად ჩამოათალა ლორს მოზრდილი ნაჭერი, მერე პატარებად დაჭრა, ძველებური მეთოდით შესანსლა და მასპინძელს ცერით ანიშნა — კარგიაო.

— ეს როგორი მუსულმანია, კაცო — ლორის ხორცი შეჭამა?!

— შენ ხომ არ დაგავიწყდა, კამომ თავის გადარჩენის მიზნით როგორი „კერძი" მიირთვა? — ამ საქციელით, ჩვენ გვაბრიყვებს, ვითომ არც მუსულმანი ვარ და არც უსამა ბინ ლადენიო. მაგრამ ვინ ჭამს მაგას?!

ამასობაში უსამამ ერთი ნაჭერი ქუბდარი აიღო, ზედ სულგუნი დაადო, მერე მომცრო ყანწი მასპინძელს მიუშვირა — გამივსეო. გაუვსეს და თვალები გაუბრწყინდა.

— ახლა თუ ამან ოჯახი დაგვილოცა, მე ამის პოლიციაში ჩამბარებელი არ ვარ. არც ის პრემიად დაწესებული 25 მილიონი მინდა და არც სტუმრის გაფუჭება ვაპირებ. სტუმარი სტუმარია!

— მართალი ხარ!

ტყუილად ელოდნენ სადღეგრძელოს უსამასაგან. მან ყანწი მაღლა ასწია, ღმერთს ახედა და მწიფე მარწყვივით გადაყლაპა სასმელი. ტუჩები გაილოკა, წვერ-ულვაში სახელოთი გაიწმინდა და კიდევ მოიშველია ცერა თითი მოწონების გამოსახატავად. ამის შემდეგ ორი ყანწი კიდევ გამოცალა, მერე თივაზე მიწვა და მშვიდად დაიძინა.

დაახლოებით ერთი საათი ეძინა ტკბილად და უშფოთველად. თვალები რომ გაახილა, ბოსელი კარგად დამთბარი იყო. ჯორკოზე საპონი და ქილოფის ნაგლეჯი ეწყო. გასანელებელი წყალიც მოემარაგებინათ და მასპინძლები ეჭვმიტანილის გაღვიძებას ელოდნენ.

— გაიძრე ეგ ტურტლიანი ტანსაცმელი და ჩაჯექი ბოჭკაში, უნდა გაბანაოთ! — ანიშნეს ჟესტებით. მან თვალის დახამხამებაში გაიძრო ტან-ფეხზე და ბოჭკაში ჩაჯდა.

— ფილიმონ, მე ვაბანავებ. თან განსაკუთრებულ ნიშნებს გიკარნახებ და ჩაიწერე. ღმერთმა არ ქნას და რომ გაგვექცეს, მოძებნა არ გაგვიჭირდება. ფილიმონმა კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა და ბექნუს ანიშნა დაიწყეო.

— მთელი ტანი შემოსილი აქვს უხეში, ხშირი შავი ბალნით. მარცხენა დუნდულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე თეთნულდის მიმართულებით დიდი შავი ხალი აქვს. სიგამხდრისაგან ნეკნები და მალები ეთვლება. მარჯვენა ბეჭის ქვეშ ორი გამჭოლი ნატყვიარი ეტყობა.

—, საკმარისია! — ახლა აიღე ტოლჩა და დაასხი წყალი, თორემ ისე კანკალებს, მეშინია ბოჭკა არ დაიშალოს.

ბექნუმ და ფილიმონმა ბინ ლადენი კარგად გალვრიჭეს, დატილიანებულ-ტურტლიანი საცვალსამოსელი დაუწვეს. გახამებული ნიფხავ-პერანგი ჩააცვეს, თბილ საბანში გაახვიეს, მაჩუბეში შეიყვანეს და გაგუზგუზებულ ბუხართან მამა-პაპურ ტახტზე გაშლილ თოვლივით თეთრ ლოგინში ჩააწვინეს. უსამამ ცერის შემართვით ერთხელ კიდევ გამოხატა კმაყოფილება, კედლისკენ გადაბრუნდა და ღრმა ძილით დაიძინა.

მეორე დილით, დაბანილ-გასუფთავებული ეჭვმიტანილი, აფხაზეთის ომიდან ჩამოყოლილ სამხედრო ფორმაში და ორი ნომრით დიდ ბათინკებში გამოაწყვეს, ჟაკუზმეს და ხარებშებმული მარხილით მესტიაში ჩაიყვანეს.

მესტიის პოლიციის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორი დღის განმავლობაში ფილიმონს და ბექნუს, ეჭვმიტანილი მაჩუბედან გარეთ არ გაუშვიათ, მისი დაჭერის ამბავმა მაინც ჩააღწია მესტიამდე. ზურგს უკან ხელებშეკრული ლადენი პოლიციის უფროსს ლენგერ ჭუჭყიანს წარუდგინეს.

პოლიციის უფროსმა ეჭვმიტანილი აათვალიერ-ჩაათვალიერა, წვერულვაშზე ხელი წაატანა, პარიკი არ იყოსო. მერე თავი აუწია და თვალებში ჩახედა. ეჭვმიტანილმა მიამიტად გაუსწორა თვალი უფროსს, გაუღიმა და კიდევ ერთხელ გამოაჩინა პაროდონტოზს ბედად გადარჩენილი ერთი წყვილი კბილი.

— ის არის! — თქვა თავდაჯერებულად უფროსმა და ხელების გახსნა უბრძანა მორიგეს. მერე ეჭვმიტანილს მაგიდაზე ქაღალდი და კალამი დაუწყო — დამიწერე შენი გვარ-სახელი. უსამა ხან კალამს უყურებდა, ხან უფროსს, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან. ბექნუმ კალამი აიღო და თავისი გვარ-სახელი გარკვევით დაწერა ქაღალდზე, მერე ეჭვმიტანილს კალამი ხელში შეაჩეჩა და ანიშნა შენც დაწერეო. სიტუაცია დაიძაბა. უფროსმა ოთახში გაიარ-გამოიარა, ეჭვმიტანილთან მივიდა, კალმიანი ხელი ქაღალდისკენ დაახრევინა და დაწერე! — დაუღრიალა. უსამას ღრიალზე არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, მაგრამ მიხვდა, რასაც სთხოვდნენ და ქართული ასოებით ბატიფეხურად ძლივს გამოიყვანა ბენო, რამაც ალტაცებაში მოიყვანა უფროსი. ბექნუს და ფილიმონს მიუბრუნდა, გამჭრიახობა, ალღო და დაკვირვების უნარი შეუქო. ის-ის იყო უფროსმა დაამთავრა ქება-დიდების ცერემონიალი, რომ კაბინეტის კარები ხმაურით გაიღო და აკივლებული ქალი შევარდა კაბინეტში:

— ვავა, ვავა! ჩქიმ ცოდო, ჩქიმ გაჭივრებული კოჩი, სკანი გოლიაფირუ ჩქიმი დუდი ბენო! — ქალი მივარდა ეჭვმიტანილს და გულში ჩაიკრა.

— რა ხდება აქ?! — გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ — იყვირა უფროსმა.

— ჩემი ქმარია ეგ. ყრუ-მუნჯია მაგი, აფხაზეთის ომის ინვალიდი ბენო ლანდია. ზარბაზნის ხმაზე დაყრუვდა, დამუნჯდა და გაგიჟდა უბედური. წინწკილას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, საიდანაც ერთი თვეა გამოპარულია და ვეძებთ ჩვენ მაგას, მაგალითად.

ნირწამხდარი ბექნუ, ფილიმონი და პოლიციის უფროსი გაოგნებულები უყურებდნენ ხან ბენოს და ხან ერთმანეთს. ბენო თავის ცოლს ეკვროდა, იღიმებოდა, თვალზე მომდგარ სიხარულის ცრემლს ხელისგულით იწმენდდა და დროდადრო ყმუილის მსგავს ხმებს უშვებდა ხორხიდან.

— არადა, ნაღდად ჰგავს ეს უბედური, ბინ ლადენს! — თქვა ბოლო სიტყვა უფროსმა.

**P. S. ბენო ლანდიას გარდა, საქართველოში კიდევ ორი ბინ ლადენი დაიჭირეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომელთაგან ერთი ყარაჯალელი თათარი ალი ალმამედ შაბან-ყურბანოღლი აღმოჩნდა, მეორე კავთისხეველი თადე კრაწაშვილი. ძებნა გრძელდება. ბოლო-ბოლო ცდა ბედის მონახევრეა და არც ყურადღების მოდუნება ეკადრება სათანადო ორგანოებს.**

**ნიკოლოზ იოსებიძე**

# სიცილი არ არის სამკურნალო საშუალება




სად არ წამიკითხავს და მომისმენია სიცილით მკურნალობის შესახებ. რაღას არ ადარებენ სიცილს: სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ელექსირს, მატონიზებელ ნივთიერებებს და თქვენ წარმოიდგინეთ, საკვებ პროდუქტებსაც კი. ასე მაგალითად, იაპონელი მეცნიერი კის-კის ხარ-ხარი, ამტკიცებს, რომ ერთი კარგი, გულიანი სიცილი, თავისი კალორიულობით ბევრად აღემატება 1 კგ არაჟანს, ანუ 0,97 კგ კარაქს, ანუ 2 ფილა შოკოლადს, 1,4 კგ ქიშმიშს, 0,7 კგ ნიგოზს და ა. შ. (სულგუნის კალორია არ არის მოყვანილი, იმის გამო, რომ იაპონიაში არ იციან სულგუნის არსებობა).

კის-კის ხარ-ხარი-ს სტატიის წაკითხვის შემდეგ, მე, როგორც ხელმოკლე იუმორისტი კაცი, შევეცადე სიცილზე გადამეტარებინა ოჯახი, მაგრამ მტრისას, რაც ჩემს ოჯახში დატრიალდა. სადილობამდე ორი საათით ადრე ოჯახის წევრებს გავაცანი იაპონელი მეცნიერის გამოკვლევის შედეგები და შევუდექი ანეკდოტების მოყოლას.

დასაწყისში ყველაფერი კარგად წავიდა. ცოლ-შვილიან, სიდედრიან, რძალ-შვილიშვილებიანად იმდენი ვაცინე და ვახარხარე, ზოგიერთმა ცოტ-ცოტა ჩაისველა კიდეც, მაგრამ, როგორც კი სადილობის დრომ მოაღწია, ჯერ უფროსებისაგან მივიღე შენიშვნა: — იმდენი ვიხარხარეთ, რომ უფრო მეტად მოგვშივდა, ანეკდოტებში ქეიფი და პურმარილი არ უნდა გეხსენებინაო. იუმორი გაშლილ სუფრას უხდება და არა მშიერ კუჭებსო. მერე შვილიშვილებმა იბღავლეს: ბაბუ გვშიაო და, აქ დამთავრდა ჩემი ექსპერიმენტი. რას ვიზამდი?! — რაც გაყიდული ბინის ფულიდან დარჩენილი თანხა მქონდა, ჩავიდე ჯიბეში და გავქანდი საყიდლებზე.

ანეკდოტების მოყოლის დროს ჩემი სიდედრი, ეფემია, ისე იჯდა დაბოღმილი და ცხვირჩამოშვებული, დედამისის ტირილზე არ მჯდარა ქირისუფლად იმ სახით. როგორც კი გაძღა და თვალებში გამოიხედა, მერე აუტყდა სიცილხარხარი. ჯერ მეგონა, ჩემი მოყოლილი ანეკდოტი გაახსენდა-მეთქი, მაგრამ სახეში რომ შემომხედა, ჩაბუირდა, მერე ახარხარდა, მერე ახროტინდა და... გაჩერდა. ისე გაჩერდეს თქვენი და ჩვენი ავადმახსენებელი.

ოჯახში არსებული ფინანსებით ძლივს დავაკმაყოფილეთ „სასწრაფოს" ექიმები. ისე, როგორც შევატყვე, იმაზე უფრო მე შევებრალე ექიმს: ამას რა უშავს, შენ რა გეშველება, შე, უბედრო, ჩვენი მოსაცემი ფულის ნახევარი მეზობლისაგან ისესხე და ამას რითი ასაფლავებო?

გაცილებისას ექთანმა მკითხა ზრდილობიანად: — მოხუცებულს არა ჰგავს და რამ მოკლა თქვენი სიდედრიო. სიცილით მოკვდა-მეთქი, რომ ვუთხარი, ისე ჩაბჟირდა თვითონაც, ძლივს მოასულიერეს.

ეგ კიდევ არაფერი. ამას წინათ, დიდი ხნის უნახავი ამხანაგი შემხვდა. რომ მოვიკითხეთ ერთმანეთი, შემომჩივლა: „ბიჭო, შენ მკურნალი კაცი ხარ და იქნებ მიშველო რამე. ერთი მოხუცებული ბიძა მყავს, ყოფილი რაიკომის მდივანი, კაი ცხოვრებას იყო ნაჩვევი და რომ გაუჭირდა, მელანქოლია დაემართა. დღედალამ ზის და გაშტერებული რაღაცაზე ფიქრობსო.

მეც ავდექი და ვუთხარი: მაგის წამალი სიცილია-მეთქი.

მადლობა გადამიხადა და წავიდა.

ერთი კვირაც არ გასულა, იმ ამხანაგმა რომ დამირეკა, ბიძა გარდამეცვალა და მოდიო. მეც ავდექი და მივედი. მივუსამძიმრე და აივანზე გავედი. ისიც გამოვიდა და გვერდში მომიდგა.

— არ უშველა შენმა გამოწერილმა წამალმა, ნიკოლოზ, რომ არ გესწავლებინა, იქნებ, არც მომკვდარიყო ეს უბედურიო.

— რა წამალი-მეთქი?! — ვიყვირე.

— მაგის წამალი სიცილიაო, შენ არ მითხარი, კაცო?!

— მერე?!

— რა, მერე რაც რამე სასაცილო ვიცოდი, ყველაფერი მოვუყევი. წარბიც არ შეუხრია. მემრე გოგიაც მომეხმარა, ჩემი ძმა, კრაოტის თავზე მივუბით ხელები, ფეხებზე კიდევ თოკი გადავუჭირეთ. ვუღუტუნეთ და ვუღუტნეთ იღლიებში, მე მარჯვენაში, გოგიამ მარცხენაში.

— მერე?!

— რა, მერე?! იგრე ხარხარებდა ცხონებული, კრაოტ ველარ ვაჩერებდით, სამი კრუგი გააკეთა ოთახში. მოკლედ, მანამ იცინა, სანამ გული არ იჯერა, იჯერა და... მოკვდა კიდეც?! აი, ეგრე იყო საქმე, მაშ!

ამის შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ სიცილი სამკურნალო საშუალება არ არის და არც არავითარი კალორია არ გააჩნია. ვიტამინებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

**ექსპერიმენტატორი**

**ნიკოლოზ იოსებიძე**

ეროვნული

# ქუჩაში ნაყიდ სანთლებზე ზოგჯერ ჯადოა გაკეთებული



**ინტერვიუ დეკანოზ ზაქარია ძინძიბაძესთან**

**— მამა ზაქარია, სანთელს ქრისტიანის ცხოვრებაში გარკვეული ფუნქცია აკისრია. ბევრი ჩვენგანი შედის ეკლესიაში, ანთებს სანთელს, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, რა დანიშნულება გააჩნია მას. სხვა სიწმინდეებთან ერთად სექტანტების ერთი ნაწილი სანთელს უარყოფს. საიდან მოდის სანთლის ისტორია? როგორც ვიცი, სახარებაში სანთელზე საუბარი არ არის.**

— როგორ არა, სახარებაშიც არის სანთელზე საუბარი და სამოციქულოშიც. მოციქულები სანთელს ანთებდნენ და ისე ლოცულობდნენ. ეს ერთგვარი ფორმით შესაწირია. როგორც მოციქულებს ეგვიპტიდან გამოსვლისას წინ უძღოდათ ნათელი და გზას უნათებდათ, ასევეა სანთელი, ის სიმბოლოა უფლისა და ადამიანისაც. თითოეულმა ადამიანმა სანთელივით უნდა გაანათოს და გაათბოს სხვა ადამიანების გული.

**— ლოცვის დროს სანთლის ანთება აუცილებელია?**

— აუცილებელია. უხეში შედარებაა, მაგრამ როგორც ხაჭაპური არ შეიძლება ყველის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია ლოცვა სანთლის გარეშე.

**— რამდენი სანთელი უნდა აანთოს ადამიანმა ეკლესიაში?**

— არის შემთხვევა, მიდის კაცი, იყიდის სანთლებს, აანთებს და გარბის, მის ჩაწვასაც არ ელოდება. უფალს ასეთი შესაწირი არ სჭირდება. ჯობს, ერთი პატარა სანთელი აანთო, გულით ილოცო და ცოდვათა შენდობა და დახმარება ითხოვო. შეიძლება სანთელი აანთო, ლოცვის დამთავრების შემდეგ ჩააქრო და მერე ისევ აანთო. ერთი სანთლით რამდენჯერმე ილოცო. ეს არ არის პრობლემა და დანაშაული.

**— სანთელს აუცილებლად სჭირდება კურთხევა თუ სუფთა სანთლისაგან შინ დამზადებული სანთელი თავისთავად ნაკურთხია?**

— კურთხევა ყველა სანთელს სჭირდება. სახლში დამზადებული თავისთავად ნაკურთხი ვერ გახდება. სახლში შეგიძლიათ დაამზადოთ სანთლები და შემდეგ მოძღვარს აკურთხებინოთ.

**— ბევრი ეკლესიის შესასვლელში გაკრულია ხოლმე წარწერა: ეკლესიის გარეთ ნაყიდ სანთლებს ტაძარში ნუ შეიტანთ. რატომ არ შეიძლება ქუჩაში ნაყიდი სანთლის ანთება ეკლესიაში?**

— უმჯობესია, სანთლები ქუჩაში არ შევიძინოთ, მისი ხარისხი ძალიან დაბალია და მეორეც, ზოგჯერ კურთხევის ნაცვლად მასზე სხვა რიტუალებია შესრულებული, ჯადოებია გაკეთებული და ათას სხვა უბედურებას იწვევს, ამიტომ უკეთესია, ეკლესიაში შევიძინოთ. თუ მაინც და მაინც საკუთარი სანთელი გვინდა, თვითონ დავამზადოთ.

**— ეკლესიაში თაფლის სანთელთან ერთად პარაფინის სანთლებიც იყიდება. რამდენად მიზანშეწონილია მისი დანთება?**

— რატომაც არა. ჯერ ერთი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსად არ ხმარობენ თაფლის სანთელს. უბრალოდ, აღარ არის ამდენი ფუტკარი. რა თქმა უნდა, ცვილის სუფთა სანთელი უკეთესია, რომლის ანთების ტრადიციაც გვაქვს საქართველოში. ხოლო ვისაც იაფფასიანი უნდა და სულერთია, რას აანთებს, შეუძლია პარაფინისაც



აანთოს. ჩვენზეა დამოკიდებული, რას შევიძენთ. მესანთლე ძალით ხომ არ მოგყიდის სხვას.

**— შეიძლება თუ არა ნაკურთხი სანთლის განათების მიზნით ანთება?**

— სარიტუალო სანთელი უმჯობესია რიტუალებში დავხარჯოთ, ხოლო თუ სხვა გამოსავალი არ არის და ღრმა სიბნელეში ვზივართ, მაშინ ნათელიც მოგვცეს რიტუალურმა სანთელმა.

**— შეიძლება თუ არა სანთლის ჩუქება?**

— შეიძლება სანთელი გაჩუქონ ან შენ აჩუქო სხვას. ამაში არავითარი დარღვევა არ არის, მაგრამ რაღაც ხომ უნდა შესწირო უფალს, ამიტომ შენც უნდა იყიდო. ერთიც შეიძლება, მეორეც და ორივე ერთადაც.

**— თუ ადამიანს ფული არა აქვს სანთლების შესაძენად, შეიძლება თუ არა სანთლის გარეშე ლოცვა?**

— შეიძლება, მაგრამ სჯობს მაინც აანთო. ასეთ შემთხვევაში მეგობარს შეგიძლია სთხოვო, ან თუნდაც მესანთლეს, ერთი სანთელი გაჩუქოს.

**— სანთლის ანთების შემდეგ რჩება სანთლის ნამწვავი და თუნდაც ნამწვი ასანთის ღერი. შეიძლება გადააყაროს ადამიანმა?**

— სანთელი, ვეცადოთ, ბოლომდე დავწვათ. თუ რამე დარჩება, ისიც უნდა დავწვათ. რაც შეეხება ასანთის ღერებს, მისი გადაყრა შეიძლება ნაგავში.

**— ხომ არაფერს დაამატებთ?**

— ღმერთმა ჩვენი ქვეყანა სანთელივით გაანათოს და ერთიანები ვიყვეთ წმინდა ფუტკრის ცვილივით.

**მანანა ლოგუაშვილი**

# ჯანმრთელობა

## ყურის გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი ყურის გაწმენდა: ყურის მდგომარეობა აისახება საერთო ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ყურში არსებული გოგირდის სმენის აპკზე ზეწოლის შედეგად შეიძლება თავბრუხვევა განვითარდეს. გარდა ამისა, ყური და თირკმელები ერთი ჩინური მერიდიანით არიან დაკავშირებულნი. ამიტომაც ყური წარმოადგენს „ფანჯარას“ თირკმელებისათვის.

სამკურნალო ეფექტი: უმჯობესდება სმენა და თირკმელების მუშაობა. რადგანაც გარეთა ყურზე ყველა ორგანოს ჩინური წერტილებია მოთავსებული. ყურის გამწმენდი ტიბეტური მასაჟი აუმჯობესებს თითქმის ყველა ორგანოს მუშაობას.

განწმენდის მეთოდიკა. ა) ასანთის ღერზე დავახვევთ ბამბას და კვირაში ერთჯერ ყურს გავიწმენდთ გოგირდისაგან და დროთა განმავლობაში დაგროვილი მკვდარი უჯრედებისა და მტვრისაგან.

ბ) ტიბეტური მეთოდი: ყოველდღე უნდა გავაკეთოთ შემდეგი მოძრაობები:

1. დავისრისოთ ყურის ამოზნექილი ზედაპირი. ზემოდან ქვემოთ — 7-10-ჯერ.

2. ყურის ნიჟარა მოვზიდოთ უკანიდან წინ — 7-10-ჯერ.

3. ყურის ნიჟარას გარეთა კიდე ვაბრუნოთ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით — 7-10-ჯერ.

4. ყურის ბიბილო დავქაჩოთ ქვევით — 7-10-ჯერ.

ეს ვარჯიშები ხელს უწყობს სმენის გზების გათავისუფლებას და აუმჯობესებს სმენას.

## თვალის გაწმენდა

სამკურნალო ეფექტი: უმჯობესდება მხედველობა, ძლიერდება თვალის სისხლმომარაგება, იკურნება კონიუნქტივიტი, იხსნება დაღლილობა.

განწმენდის მეთოდიკა:

1) ჩაის ნაყენით: უმჯობესია გამოვიყენოთ ჩაის ახალი ნაყენი. ვასველებთ მასში ბანდს და ვიწმენდთ თვალებს გარეთა მხრიდან შიგნისაკენ.

2) ახალი ურინით: ავიღოთ საკუთარი, 10 წლამდე ბავშვის ან ორსული ქალის ახალი დილის შარდი. დავასველოთ მასში ბანდი და გავიწმინდოთ თვალები გარეთა მხრიდან შიგნისაკენ. ორივე თვალში ჩავიწვეთოთ 2-2 წვეთი შარდი თითოეულში.

3) გვირილას ნაყენით: 2-3 სუფრის კოვზი გვირილას ყვავილები ვადუღოთ 10-15 წუთი 1 ჭიქა წყალში. დავდგათ 1 საათი. გავწუროთ. მიღებული ნაყენით გამოვირეცხოთ თვალები.

## გულის გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი გულის გაწმენდა: დროთა განმავლობაში გულის კუნთში გროვდება დაუძლურებული უჯრედები, ლორწო, ჭარბი მარილები და სხვა. ამასთანავე თუკი მსხვილი ნაწლავის ფუნქციები დარღვეულია, იმის გამო, რომ ვენური სისხლი სწორი ნაწლავის ქვემოთა ნაწილიდან ღვიძლში გავლის გარეშე, გაუსუფთავებელი სახით პირდაპირ გულში ხვდება — ეს დამატებით აჭუჭყიანებს გულს და საჭირო ხდება მისი გაწმენდა წელიწადში ორჯერ.;

სამკურნალო ეფექტი: უმჯობესდება გულის მუშაობა, გულის კუნთი განახლდება და ინფარქტის წარმოშობის შესაძლებლობა მცირდება.

განწმენდის მეთოდიკა: ავიღოთ 1 ლიტრი რძე და 3 ცალი ლიმონი. დილით 1/3 ლ რძეში ჩავწუროთ 1 ცალი ლიმონი და დავლიოთ. 12 საათზე იგივე გავიმეოროთ. ბოლოს ძილის წინ იგივე ნარევი მივიღოთ. მთელი დღის განმავლობაში სასურველია ვეგეტარიანული (უხორცო) კვება. განწმენდის კურსი 2 კვირა გრძელდება, ე. ი. გვაქვს ჩასატარებელი სულ 14 პროცედურა.

**შ. საბახტარიშვილი. სამკურნალო წიგნი. ტ. 3. თბილისი, 1997.**

მე-5 გვერდიდან

ბაში შეძლებდნენ საკმარისი სიგანისა და სიღრმის უბნებზე ღამესთან მიახლოებული ხილვადობის პირობების შექმნას.

მოწინააღმდეგის ღრმად დაეშელონებული თავდაცვის გარღვევისას ქვეით ჯარს თავს უნდა უყრიდნენ ვიწრო უბანზე და მასაც აძლევდნენ ღრმად დაეშელონებულ საბრძოლო წყობას. ხშირად შესაძლოა წარმოიქმნებოდეს ბატალიონის მძიმე იარაღით (ძირითადად ნაღმსატყორცნები) მასირებული საცეცხლე მხარდაჭერის აუცილებლობა თავდაცვის გარღვევისას საბრძოლო ასეულების ერთი მეორის მიყოლებით ბრძოლაში შეყვანის უზრუნველსაყოფად.

თავდაცვაში საჩქაროდ და სათანადო მომზადების გარეშე გადასულ მოწინააღმდეგეზე შესატევად, მსროლელები მხარს უნდა უჭერდნენ ერთმანეთს ცეცხლით ისეთი ანგარიშით, რომ ქმნიდნენ შემომტევი მოწინააღდეგისთვის გადმოულახავი უწყვეტი ცეცხლის ზონას. კარგად ჩასანგრებულ და შენიღბულ მსროლელებს შეუძლიათ ცეცხლის წარმოება საფრებიდან და ჩასაფრებებიდან, რათა აიძულებდნენ მოწინააღმდეგეს, ფანტავდნენ თავის ძალებს და აწარმოებდეს რიგ ცალკეულ ბრძოლებს თითოეული საცეცხლე წერტილისთვის. ამ შემთხვევაში შემომტევი მოწინააღმდეგე ვარდება ფლანგებიდან და ზურგიდან ცეცხლის ქვეშ. ასეთ ბრძოლაში, როდესაც ქვეითი ჯარი ერთი ერთზე ეჯახება მოწინააღმდეგის ქვეით ჯარს, წარმატება დამოკიდებული იქნება თითოეული მსროლელის სიმტკიცესა და შეუპოვრობაზე.

თითოეული თავდაცვითი ნაგებობა, მაშინ მთელი ძალისხმევა გადააქვთ ტანკებთან ბრძოლაზე. თითოეული თავდაცვითი ნაგებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახლო ბრძოლის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების საკმარისი რაოდენობით. ტანკებთან ბრძოლის წარმოებისას უნდა ახსოვდეთ, რომ ბრძოლაში ტანკები ერთმანეთს იფარავენ. ამასთან, აუცილებელია თავდამცავი ქვეითი ჯარი იყენებდეს ნებისმიერ საშუალებას ტანკების გვერდებიდან ან უკნიდან დასაზიანებლად. ამ მიზნით ყველაზე კარგად შეიძლება იყენებდნენ სანგრების ხვეულებს, შეტყობინების გზებსა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს. იმ ტანკებს, რომლებმაც შეინარჩუნეს მოძრაობის უნარი, უნდა ანადგურებდნენ თავმოყრილი ცეცხლით ყველა მიმართულებიდან.

თუკი ცალკეულ წინააღმდეგო-

# საბრძოლო მოქმედებები ერაყში მეორე მსოფლიო ომის გერმანული ჯარების გამოცდილების ფონზე

შესაძლოა, იყენებდნენ წინასწარი მომზადების გარეშე სვლიდან შეტევის წესს, განსაკუთრებით მოტორიზებული ქვეითი (მოტოქვეითი) ჯარების წარმატებული გარღვევის შემდეგ, ფლანგს ან ზურგში დარტყმების მიყენებისას, აგრეთვე ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის განადგურების დროს. სვლიდან შეტევა ყოველთვის წარმოადგენდა გერმანული ქვეითი ჯარის ძლიერ მხარეს. მასში განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა ვლინდებოდეს ჯარების მართვის ოპერატიულობა, საბრძოლო მომზადების მაღალი დონე და შეტევითი შემართება.

თავდაცვა წარმოადგენს უმთავრესად მხარდამჭერი არტილერიისა და ქვეითი ჯარის მძიმე იარაღის საცეცხლე ბრძოლას. თავდამცავის ცეცხლმა უნდა აიძულოს, მოწინააღმდეგის შემოტევა მოიხრჩოს წინა ხაზის წინ ან პირველი პოზიციის საყრდენ პუნქტებს შორის, ყოველ შემთხვევაში არაუღრმეს არტილერიის საცეცხლე პოზიციების დამფარავი საყრდენი პუნქტების ხაზისა. ამიტომ წინააღმდეგობის კვანძებში ან საყრდენ პუნქტებში თავდაცვაში მყოფი ქვეითი ჯარი ავტომატური იარაღიდან სროლას იწყებს მხოლოდ ნამდვილი ცეცხლის დაშორებაზე.

საცეცხლე წერტილები და სანგრებში მყოფი ცალკეული ბობა მოწყობილი უნდა იყოს წრიული თავდაცვის საწარმოებლად, რათა ალყაში მოხვედრის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ნებისმიერი მიმართულებიდან შემომტევ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. თავდაცვაში შემოჭრილ მოწინააღმდეგეზე აუცილებელია დაუყოვნებლივ და გაბედულად კონტრშეტევა, თუნდაც სულ მცირე ქვედანაყოფებით, რათა ჯერ კიდევ მანამდე გაანადგურონ იგი, სანამ მოასწრებს ადგილზე ჩასანგრებასა და გამაგრებას. ბრძოლის დაწყებისთანავე ოცეულები და ასეულები უნდა გამოყოფდნენ ძალებს და საშუალებებს დაუყოვნებლივი კონტრშეტევების ჩასატარებლად. ამ უკანასკნელებმა ტანკებისა და არტილერიის მხარდაჭერით უნდა მოიგერიონ შემოჭრილი მოწინააღმდეგე და აღადგინონ მდგომარეობა. ხანგრძლივი მზადება და გაუბედაობა კონტრშეტევების ჩატარებისას იწვევს დროის სახიფათო კარგვას. ამ შემთხვევაში ძვირფასია თითოეული წუთი.

თუკი მოწინააღმდეგე უტევს ტანკებთან ერთობლივად, მაშინ თავდამცავი ქვეითი ჯარი ცეცხლს წარმართავს პირველ რიგში მოწინააღმდეგის ფეხოსნების წინააღმდეგ. თუკი მოახერხებენ ტანკებისგან მათ მოწყვეტასა და ჩახშობის კვანძებში თავდამცავი ქვედანაყოფები მიიღებენ ბრძანებას უკანდახევის შესახებ, მაშინ ამ კვანძებში შემავალი საყრდენი პუნქტებიდან წარმოებული უკანდახევის დამფარავ ცეცხლს უნდა მიმართავდნენ პირველ რიგში შემომტევი მოწინააღმდეგის ფლანგებისა და ზურგის წინააღმდეგ. ქვეითი ჯარის უკანდახევა საფრების გამოყენების გარეშე განადგურებისთვის მის გაწირვას ნიშნავს.

ასეთია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გერმანელი ოფიცრის ზოგიერთი შეხედულება თანამედროვე ქვეითი ჯარის მოქმედებების ტაქტიკის შესახებ. შესაძლოა ამ საკითხზე სპეციალურ სამხედრო ჟურნალში უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო შედარებით ვრცელი და ამომწურავი საუბარი. ასეთი ჟურნალი 1990-იანი წლების პირველ ნახევარში გამოდიოდა კიდეც საქართველოში, ვგულისხმობთ ჟურნალ „მხედარს“, მაგრამ შემდეგ დაუფინანსებლობის გამო მისი გამოსვლა შეჩერდა. არადა, დღევანდელ ეტაპზე მიმდინარე მოვლენები, ერაყის და სავარაუდოდ სხვა მომავალი ომები, ასეთი გამოცემის საჭიროებას თვალსაჩინოს ხდის.

**ირაკლი ხართიშვილი**

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი მე-2 გვ.

„სნგ"-ში შესვლით, საპარლამენტო რატიფიკაციით საქართველო თავისი არსებობის მანძილზე მსოფლიო აღიარების შემდეგ მესამედ (1801 და 1921 წლები), იურიდიულადაც კარგავს ფაქტობრივი სახელმწიფო სუვერენიტეტის უზარმაზარ ნაწილს, ხოლო სამანეთო ზონაში შესვლით, პრაქტიკულად სრულ სუვერენიტეტს. მოსკოვში ჩვენი ბიუჯეტიც კი უნდა დამტკიცდეს, თუკი ჩვენ სამანეთო ზონაში შევალთ და ეს თუ არ არის სუვერენიტეტის დაკარგვა, ალბათ... ასე თუ გაგრძელდა, გარდუვალია საქართველოს რუსეთის ერთ-ერთ ჩამორჩენილ გუბერნიად გადაქცევა. დასავლეთში უკვე ეძახიან კიდევაც ჩვენს ქვეყანას რუსეთის სამხედრო პროვინციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთი საბაზრო პრინციპებზე უარს აღარასდროს იტყვის, რაც გამორიცხავს რომელიმე რეგიონის მუქთად რჩენას, ამას საკმაოდ არგუმენტირებულად... (ქ. ღარიბაშვილი წამოიძახებს რაღაცას). ბატონო ქართლოს, ძალიან გთხოვთ...

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, შევუქმნათ პირობები.

**თ. პაატაშვილი.** ამის დიდი იმედი აქვთ „სნგ"-ს მომხრეებს და, სამწუხაროდ, ცდილობენ საზოგადოების ნაწილის შეცდომაში შეყვანასაც. ამასთან არათანასწორუფლებიანი ურთიერთობების... ბატონო ვახტანგ (ხმაური დარბაზში).

**თავმჯდომარე.** ახლავე, გთხოვთ დავიცვათ წესრიგი.

**ქ. ღარიბაშვილი.** გადაჭრილია ხაზი, რომლებმაც პულტებში უნდა გაიაროს (კამათი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** კარგით. სასწრაფოდ ტექნიკურ პერსონალს... (ხმაური დარბაზში). გავაკეთებთ, გავაკეთებთ.

**თ. პაატაშვილი.** ალბათ, სიით უნდა გაკეთდეს ასეთი გადაწყვეტილებები.

**თავმჯდომარე.** რა თქმა უნდა.

**თ. პაატაშვილი.** ...არათანასწორუფლებიანი ურთიერთობისას საბაზრო პრინციპებით შეიძლება მომავალ თაობათათვისაც კი დავასამაროთ თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოს საუკუნოვანი იდეა. მე მინდა იცოდეთ, რომ უკანასკნელ ხანს ხელმოწერილი დოკუმენტების მიხედვით, მაგალითად, 1994 წელს საქართველომ უნდა გადაიხადოს რუსეთის ვალი 38.8 მილიონი დოლარის ოდენობის და ამას გარდა არსებობს მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, კერძოდ, ბორჯომის ხეობაში, აფხაზეთის რეგიონში პირდაპირ ხდება კონცენტრაცია თანხების და სამსახურებისა, რათა მოხდეს სწორედ, ასე ვთქვათ, საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე გარკვეული ქონების, გარკვეული ჯგუფების მიერ მიზანდასახული შეძენა. ამასთან საქართველოს „სნგ"-ში გაწევრიანების საპარლამენტო რატიფიკაცია აშკარად ეწინააღმდეგება 1990 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებს, 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტისა და ქართველი ერის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულისკვეთებას, იცხოვრონ თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში. ამდენად, ჩვენს მიერ ამ გადაწყვეტილების რატიფიკაცია არა მხოლოდ ანტისახელმწიფოებრივი, არამედ არაკანონიერიც არის, რადგან მხოლოდ... „სნგ" — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობად ითარგმნება, რუსეთის ინტელექტუალური ნაწილიც კი შეძრწუნებულია შიშველ ძალაზე დაფუძნებული იმპერიის რესტავრაციის უგუნური მცდელობით და აქედან გამომდინარე თვით რუსეთის სახელმწიფოს ნგრევის ერთობ რეალური პერსპექტივით. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ, პერესტროიკად წოდებული მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური პროცესი კომუნისტური იმპერიის დემონტაჟისა, ევრაზიის კონტინენტზე გლობალური კატასტროფით დაგვირგვინდეს. ცივილიზებული მსოფლიოც ძალზე შეშფოთებულია რუსეთის უკანასკნელი არჩევნების შედეგებით, რეფორმისტული კაბინეტის გადაგომით, თუ სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებათა გამო. ე. წ. პუტჩი და ამნისტირება, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტი შეიძლება გავიხსენოთ, რომელიც მან უცბად გადადო და ამასთან აშშ-ის სენატის გაფრთხილება 40-მილიარდიან დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთან დაკავშირებით, იმუქრებიან, რომ შეჩერებული იქნება. მიუხედავად მსოფლიოს ორი, უზარმაზარი ავტორიტეტის მქონე სახელმწიფოს მეთაურის და ედუარდ შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნისა, გაეროს უშიშროების საბჭო, არც თუ უსაფუძვლოდ, იკავებს თავს რუსეთის ჯარებისათვის საქართველოში, მეზობელ სახელმწიფოში, სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭებისაგან. ბევრი დასავლეთელი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ცივი ომის ახალი ეტაპის დაწყებას თითქმის გარდუვალად მიიჩნევს. საბჭოთა იმპერიის ყოფილი შემადგენელი ნაწილები თავგამოდებით მიილტვიან დემოკრატიული სამყაროს მიერ შექმნილი, ჯერ მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარანტიების მოსაპოვებლად, ჩრდილოეთ ატლანტიკური თანამშრომლობის კავშირის, კავშირის და არა ბლოკის, შემადგენლობაში შესვლისათვის. აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნებზე რომ აღარაფერი არ ვთქვათ, მოლდავამ, ყაზახეთმა, აზერბაიჯანმა და სხვამ. ამავე კავშირში თვით რუსეთის შესვლის აუცილებლობას საკმაოდ არგუმენტირებულად ასაბუთებენ რუსეთის პოლიტოლოგები, რუსეთისავე ცენტრალურ პრესაში, პროგრამა „თანამშრომლობა მშვიდობისათვის" ამის ყველანაირ თეორიულ შესაძლებლობას იძლევა. მართალია, ეს ტენდენციები რუსეთში არც ისე ძლიერია, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია. რუსეთმა უკანასკნელ ხანს წარმოებული მრავალფეროვანი, მათ შორის რეაქციული პოლიტიკის წყალობით მთელ რიგი წარმატებებს მიაღწია გავლენის სფეროთა კვლავ დაბრუნების თვალსაზრისით, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული პოლიტიკით კავკასიაში, რასაც საქართველომ თავისი არასწორი, ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი პოლიტიკით (და ჩვენც დეპუტატებმა), ერთობ შევუწყო ხელი. ის, რომ გაუთავებლად ვლანძღავდით დღეს უკვე ამნისტირებულ ე. წ. რუსეთის რეაქციულ ძალებს, ჩვენი ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური შეცდომაც იყო. ჩვენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისათვის უნდა მიგვეცა პოლიტიკური კვალიფიკაცია. რუსეთის პოლიტიკურ ძალთა კლასიფიკაცია და პერსონიფიკაცია კი მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეა. საქართველოს სახელმწიფო ინტერესები კი მოითხოვს ნებისმიერ რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, თუკი რუსეთი საქართველოს ელემენტარულად ნორმალური არსებობის შესაძლებლობას აძლევს. რუსეთში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ძალები, რომლებთანაც მთავარი ადამიანური კონტაქტებით ნორმალური მიდგომა არ შეიძლებოდეს ან ნათესაობით, ან მეგობრობით, ან ახლობლობით. რაში მდგომარეობს ის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დაცვაც აუცილებლად უნდა მოითხოვოს თუნდაც დღევანდელ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა მართლმადიდებლურმა საქართველომ, ასევე მართლმადიდებლური რუსეთისაგან, ჩვენი ამ მდგომარეობაში ყოფნის მთავარი გარეშე ფაქტორისაგან. ალბათ, ძირითად მსოფლმხედველობრივ, პოლიტიკურ, სწორედ სახელმწიფოებრივ პრინციპთა დაცვა, მით უფრო, 3 თებერვალს თბილისში მოეწერა ხელი მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სამ ათეულ ხელშეკრულებათა ბევრი პუნქტი, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, საქართველოსათვის მომგებიანი არ არის. პირველი, ეს პრინციპი, ჩვენი აზრით, არის საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მის მთელ ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო იურისდიქციის რეალური გავრცელებით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის გავრცელების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი მხოლოდ ფიქციაა, რომელიც აუცილებლად დაირღვევა. და მეორე, ეს არის სახელმწიფოთაშორის სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებში ელემენტარულად სამართლიანობის პრინციპის დაცვა. 10 მილიონის რალაც თუ მიაქვს, 8-ს თუ არა 5-ს მაინც უნდა გაძლევდეს. მით უმეტეს ისეთი მდიდარი სახელმწიფო, როგორც რუსეთია და მით უმეტეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც საშუალო ხელფასი, ჩვენთან შედარებით, სულ ცოტა 80, 100-ჯერ უფრო მაღალია რუსეთში. ხელისუფლებამ, რომელსაც არ ძალუძს ან არ სურს ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპთა დაცვა, პირდაპირ გულახდილად უნდა განაცხადოს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, რუსეთის პროტექტორატისა და რუსეთისავე ძალაზე დაყრდნობით ძალაუფლების შენარჩუნება და არა ქვეყნის მართვა. ის, რაც დღეს ჩვენთან ხდება, ქვეყნის მართვას ვერ დავარქმევთ.

წამოვა თუ არა რუსეთი დაჩოქილ ქართულ ხელისუფლებასთან მინიმალურ სამართლიან ურთიერთობებზე? აუცილებლად წამოვა, თუ კი საქართველოს ხელისუფლება იხელმძღვანელებს პრინციპით — ყველაფერს ვთმობ ძალაუფლების სანაცვლოდ. რუსეთს დღეს ნამდვილად არ ულხინს. ეს საკმაოდ ვრცელი თემაა, ამაზე მინიშნებები გავაკეთეთ, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას ის, რომ დღეს რუსეთის ყველაზე რეაქციულ ძალებსაც კი მშვენივრად ესმით, რომ მხოლოდ შიშველ ძალაზე დაყრდნობით ყოვლად უსამართლო იმპერიის აღდგენის მცდელობას დაუყოვნებლივ მოჰყვება რუსეთისავე სახელმწიფოს კატასტროფა. ყოვლად კაპიტულანტური სახელმწიფო ლოზუნგი — საქართველოს სად შეუძლია რუსეთთან ბრძოლა, უნდა შეიცვალოს დებულებით — საქართველოს არ სურს რუსეთთან ომი, თუკი ეს უკანასკნელი მას მეტ-ნაკლებად ღირსეული არსებობის შანსს უტოვებს. ისტორიულად საქართველოს ტერიტორიები მხოლოდ მაშინ დაუკარგავს, როცა ერთი მესამედი ბრძოლაში წყდებოდა მოსახლეობისა, ერთ მესამედს სადღაც ერეკებოდნენ და ერთი მესამედი იხიზნებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-21 წლების სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დღეს არცთუ ყველასგან კეთილად ხსენებადია, რადგან ვერ შეინარჩუნეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არადა იმ ხელისუფლებამ 3 ფრონტზე იომა, არცთუ რუსეთისავე ფაქტორის დაუხმარებლად საქართველოს აჭარა დაუბრუნა და 1921 წლის 25 თებერვლის ანექსიის შემდეგ, კაპიტულაციაზე ხელის მოუწერლად, 33 წლამდე არსებობდა ოფიციალურად პარიზში. იმ ხელისუფლების გადარჩენილ წევრებს საქართველოს თავისუფლების ნატვრა-ხსენებაში ამოხდათ სული და, ალბათ, დღეს ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა.

რას მიიღებს რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობათა მეტ-ნაკლებად სამართლიანი ნორმალიზაციის შემთხვევაში? კავკასიის გასაღებად წოდებულ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს. მადლობა ღმერთს, ისტორიულად არსებობს რუსეთ-საქართველოს საერთო სტრატეგიული ინტერესები. თვით უფალმა ინება, რომ ამ უზარმაზარ 3 მეზობელ სახელმწიფოს შორის, ალბათ, ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობები რუსეთთან უნდა ჰქონოდეს. მაგრამ რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა აცხადებს, რომ არც ერთ სახელმწიფოს, მით უმეტეს, არც ერთ ხალხს თავისი ფედერაციის შიგნით მოწინააღმდეგედ და მტრად არ მიიჩნევს. ის, რომ დღეს რუსეთი შუამდგომლობს იმიერკავკასიელ ხალხებთან, დიდწილად ჩვენი არასწორი, დანაშაულებრივი პოლიტიკის ბრალია. ყველა პარამეტრი პირიქით უნდა იყოს. დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი საქართველოს დახმარებით გაცილებით უმტკივნეულოდ მოაგვარებს ჩრდილოეთ კავკასიაში, და არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არსებულ პრობლემებს, ვიდრე დამოუკიდებლად ან ტრადიციული მეთოდებით.

ახლა იმასთან დაკავშირებით, ღირს თუ არა შეერთებულ შტატებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის წინ საქართველოს „სნგ"-ში შესვლის რატიფიკაცია? ჩვენთვის გასაგებია, რომ ფსევდობალანსის პოლიტიკა, აქეთ-იქით გაურკვეველი თამაშისა, დასასრულს უახლოვდება. რუსეთი სახელმწიფოს მეთაურისაგან მოითხოვს სრულ მორჩილებას, „სნგ"-ს რატიფიკაციის სახით და ამასთან მტკიცებას, რომ იგი არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ ხელისუფლებაშიც პრაქტიკულად სრულად აკონტროლებს სიტუაციას. სანაცვლოდ რუსეთი აფხაზეთში დახმარებას, უფრო სწორედ ხელის არშეშლას გვპირდება, და მხოლოდ გვპირდება, უკვე მერამდენედ. პოლიტიკა პრაგმატიზმის გარეშე წარმოუდგენელია. რას ვუტოვებთ ჩვენ ჩვენს მომდევნო ხელისუფლებას, თუ თაობებს რუსეთთან სავაჭროდ? თუ დენონსაციას არ ჩავთვლით. მაშინ როდესაც რუსეთს, ყველაფერს სხვა თავი რომ დავანებოთ, რჩება მსოფლიოში ჯერ არნახული ბათუმი-ფოთი-ოჩამჩირე-სოხუმი-გუდაუთის 310 კმ-იანი სამხედრო ბაზა. ნუთუ, არ შეიძლება რუსეთს შევბედოთ, ჩვენთვის უკიდურესად წამგებიანი პრინციპით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნაწილი ტერიტორიების სანაცვლოდ, აფხაზეთის რეალური დაბრუნების შემდეგ მაინც დაველაპარაკოთ, დაველაპარაკოთ თუნდაც იმ განწყობით, როგორც ეს ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირად საუბარში თქვა, რომ კარგით ახლა, თავს ნუ გაიგიჟებთო, და ვიქნებით ახლა ეს 112 კაცი მოღალატეებიო. ამ დროს დასავლეთში ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ელოდებიან როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, რომელიც არ ჩავა ვაშინგტონში „სნგ"-ს რატიფიკაციით გზამოჭრილი, რუსეთის პროტექტორატის წარმომადგენლად, მხოლოდ 50000 ტონა ხორბლისა თუ ჰუმანიტარული დახმარების სათხოვნელად. მე არ შევხვედრივარ არც ერთ დასავლურ პუბლიკაციას, პოლიტოლოგსა თუ პოლიტიკოსს, რომელიც საქართველოს „სნგ"-ში გაწევრიანებას გულწრფელად მიესალმებოდეს. „სნგ"-ში შემავალი ქვეყნებიდან 8 თუ არა 7 მაინც ამ თანამეგობრობის მთელ რიგ ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. მათ შორის ზემოთ აღნიშნულს, გარდა საპარლამენტო რატიფიკაციის შეყოვნებისა, კერძოდ, მოლდავეთი. არც ის არის გამორიცხული, რომ რუსეთი რამდენიმე თვეში მიხვდება, რომ ჭეშმარიტად სუვერენულ სახელმწიფოთა სამართლიანი ურთიერთხელშემწყობი ურთიერთობებია პოსტსაბჭოური სივრცის გადარჩენის ერთადერთი გზა და რომ ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ „სნგ"-ს მთლიანად ერთი საერთო წარმომადგენელი ჰყავდეს გაეროში. გაეროს წევრი საქართველოს სახელმწიფო მეთაურისაგან უპირველეს ყოვლისა სწორედ სახელმწიფო .სუვერენიტეტის შენარჩუნებას, ტერიტორიული მთლიანობისა თუ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების რეალურ გარანტიებს ელოდება და მერე ყველაფერ სხვა დანარჩენს.

*გაგრძელება იქნება*


**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზია №87;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.